

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

12
1983

ISSN 0321—1509



თ. ფურცხვანიძის ფოტო

თბილისი. დიღმის მასივი

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა ბარათაშვილი

# შენი სიმდიდრე

ბავშვის ფანტაზიას ზღაპრები ასხამს ფრთას და ნატვრისთვალის საძიებლად დაატარებს. მოგვიანებითაც, წამოფრთიანებული გოგონა ბალახებში ოთხყურიან სამყურას დაეძებს, აყვავებულ იასამნის მტევნებში ხუთფურცლიან ყვავილს, გვირილის გვირგვინებზე „მკითხაობს“ და ასაფრენად ფრთაგაშლილ ციცქნა ჭიამაიას ანდობს გულის საიდუმლოს... უფრო მოგვიანებით კი, ქალობაში შესულს, ზოგს დედობა მიაჩნია სიმდიდრედ, ზოგს სულიერი და ზოგს მატერიალური კეთილდღეობა და ადამიანებიც იმით განსხვავდებით ერთმანეთისაგან, თუ ვისთვის რა არის მთავარი ცხოვრებაში.

ამას წინათ ერთი ახლობლის დაკრძალვას დავესწარი. სოფლის საკმაოდ დიდი ეზო სავსე იყო მიცვალებულის უახლოესი ნათესავებით — ბიძაშვილ-დეიდაშვილ-მამიდაშვილებითა და მათი მონაგრით. მათ შორის ერთ ახალგაზრდა ქალს მოვკარი თვალი. შევხედე და იმდენად გავოცდი, რომ თავი სიზმარში მეგონა... ახალგაზრდა ქალმა ჩემს შორეულ ბავშვობაში დამაბრუნა.

იგი ბებიამისის ზუსტი პორტრეტი გახლდათ — იგივე აღნაგობა, სახე, ხმა, ღიმილი, მიხვრა-მოხვრა...

...რა შეედრება ზიკეთის განცდას! ასეთ სიკეთედ და სიხარულად ჩვენი ოჯახის უახლოესი ნათესავი შემოაღებდა ხოლმე კარს, ჩვენგან მოშორებით სოფელში გათხოვილი, თავის ქმარ-შვილთან ერთად წელიწადში ერთხელ მაინც გვესტუმრებოდა და მაშინ ჩვენს ჭერქვეშ უამრავი საალერსო სიტყვა დაიფრქვეოდა. სიძე კაცი მაინც ისეთი ენადათაფლული იყო, რომ მეტსახელად „შენ შემოგევლე“ შეარქვეს.

ექვსი და-ძმიდან ის ერთი ქალი იყო ქალაქსა და მშობლების ჭერს მოშორებული. ვერც მისი ოჯახი და ვერც სოფელი, სადაც გათხოვილი იყო, კეთილმოწყობითა და სიმდიდრით თავს ვერ მოიწონებდა და ქალის და-ძმას დიდად აწუხებდა ძნელად მისავალ სოფელში გადაკარგული, ხელმოკლედ მცხოვრები, დაწვრილშვილებული დედმამიშვილის ბედი, თუმცა თავად ქალი, ეტყობა, ბედით კმაყოფილი თავის მეუღლესა და ხუთ შვილს შესციცინებდა. შვილებიც მშობლებს მხოლოდ „დედა-ბატონო“ და „მამა-ბატონოთი“ მიმართავდნენ ხოლმე.

რარიგ მინდოდა, ერთხელ მაინც ვწვეოდი იმ ჩემს მახლობლებს, მაგრამ ეს ნატვრა ვერ შევასრულე.

მხოლოდ მოგვიანებით, როდესაც უფროსები უკვე აღარ იყვნენ, მათ გათხოვილ ქალიშვილებს ვეწვიე. დები ერთ-ერთ მეზობელ სოფელში ერთმანეთის გვერდით სახლობდნენ. კეთილ ოჯახურ ტრადიციებზე აღზრდილებს აქაც ის სიამტკბილობა გადმოენერგათ და ერთი ჭირითა და ლხინით ცხოვრობდნენ. როცა მათი ოჯახების მრავალრიცხოვანი წევრები სუფრას შემოუსხდებოდნენ და ტკბილიმერულად ამღერდებოდნენ, უკეთესს ადამიანის ყური ვერაფერს მოისმენდა.

...ახლაც იმავე ეზოში ვიდექი, დამგლოვიარებულ ნათესავებს შორის, — ყოველ მათგანს რომ გაჩაღებული ოჯახი აქვს თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ჩოხატაურში, აბაშაში, საგარეჯოში, თერჯოლაში, თავასაში თუ სიქთარვაში და ყველას რომ თავი მოუყარო, მთელ ერთ სოფელს, ან ქალაქის ერთ მოზრდილ უბანს გაავსებდნენ. და როდესაც იმ ახალგაზრდებმა ცრემლნარევი ღიმილით მოიგონეს თავიანთი ტკბილი ბებია და ბაბუა და მათი ხსოვნის უკვდავების სასმისები ასწიეს, ვინატრე, წამით მაინც გაცოცხლებულიყვნენ და შემოეხედათ ამ ეზოში ჩემს მშობლებსა და მათს და-ძმას (თვითონ თითო შვილისა თუ შვილიშვილის მეტი რომ არავინ დარჩენიათ) და დაენახათ იმ „შორს სოფელში გადაკარგული“, „ხელმოკლე“ ოჯახის შთამომავალნი.

ჩვენი ყოველდღიურობა სავსეა მსგავსი მაგალითებით, რთული და მარტივი გაკვეთილებით, რომლებსაც ვხედავთ, მაგრამ მთელი სიღრმით და სიცხადით ვერ აღვიქვამთ და ვდავობთ იმის თაობაზე, თუ რა არის ადამიანის ჭეშმარიტი კეთილდღეობა და ბედნიერება.

ადამიანებს, უწინარეს ყოვლისა, უნდა ჰქონდეთ საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი, ბინა, ვიდრე შეძლებენ მოჰკიდონ ხელი პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებასო, — ამბობენ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი.

ეს უდავო ჭეშმარიტებაა და ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკის თავიდათავიც ხომ ადამიანების კეთილდღეობის ზრდაა! მაგრამ აი, რას ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ი. ვ. ანდროპოვი:

„ჩვენ ხშირად ვხმარობთ ფორმულას „ცხოვრების დონის ამაღლება“, მაგრამ ზოგჯერ მას მეტისმეტად ამარტივებენ — გულისხმობენ მხოლოდ მოსახლეობის შემოსავლის ზრდასა და მოხმარების საგნების წარმოებას. სინამდვილეში ცხოვრების დონის ცნება გაცილებით უფ-

რო ფართო და მდიდარია. ეს გახლავთ ადამიანის შეგნებისა და კულტურის, მათ შორის ყოფის, ქცევის კულტურის გამუდმებული ზრდა და ის, რასაც მე გონივრული მოხმარების კულტურას ვუწოდებდი“.

აქედან, მცნება „კეთილდღეობა“ ადამიანის მარტოოდენ მატერიალური უზრუნველყოფით ვერ განისაზღვრება, მას შინაგანი, სულიერი კმაყოფილებაც უნდა ერთვოდეს. ქალი რომ კეთილდღეობას განიცდიდეს, ის კმაყოფილი უნდა იყოს თავისი დედობით, ადამიანებთან კეთილი ურთიერთდამოკიდებულებით ოჯახში, ახლობელ-ნათესავ-მეგობრებს შორის, თავის სამუშაო კოლექტივში. კმაყოფილი უნდა იყოს, როგორც კარგი შვილების მშობელი და აღმზრდელი დედა, საყვარელი მეუღლე, საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გულმხურვალე მონაწილე.

„ნურა დედას ნუ განეცადოს შვილის ცეცხლი“. — თქვა ჩვენმა სახელოვანმა ერისკაცმა, ფსიქიატრმა აკადემიკოსმა ავლიპ ზურაბაშვილმა ჩვენთან ერთერთი შეხვედრის დროს, — მარტო შვილის დამკარგავზე კი არ მოგახსენებთ, იმ დედებზე, შვილის უღირსი საქციელით რომ არიან შერცხვენილი და გამწარებულნი“.

მართლაც და ოქროს სასახლეც რომ მიუჩინოთ ასეთი შვილის დედას, განა შეიძლება მის კეთილდღეობაზე ლაპარაკი? განა ნივთებს ძალუძს მძიმე ტრავმის მოშუშება, სიმარტოვის შემსუბუქება, აფორიაქებული სულის დამშვიდება ან სულიერი სიცარიელის ამოვსება?!

სადავო არ არის, რომ სუფთად, ლაზათიანად მოწყობილი ბინა და ეზო-კარი, გემოვნებით ჩაცმა-დახურვა, ნორმალური კვება საჭიროც არის და სასურველიც, მაგრამ როდესაც ამ მოთხოვნილებათა ზღვარდაუდებელი დაკმაყოფილება თვითმიზნად იქცევა და უხშობს ადამიანის სულიერ მოთხოვნილებებს, როცა ნივთი ადამიანის სულსა და გონებაზე ბატონდება და მცდარი გზით წარმართავს მის სასიცოცხლო ძალებს ეს გზა თითქმის ყოველთვის კატასტროფით მთავრდება ხოლმე.

ჩვენი სიმდიდრე და კეთილდღეობა, ჩვენი ჯანმრთელი და წესიერად აღზრდილი შვილები და შვილთაშვილებია, რომლებიც ჩვენგან იღებენ მაგალითს, რომ ღირსეულად განაგრძონ ჩვენი სავალი, ჩვენი სიმდიდრე ქვეყნის საკეთილდღეოდ გაღებული ჩვენი წვლილი, ჩვენი სიმდიდრე საზოგადოების სიყვარული და პატივისცემაა, რომელსაც, მართალია, იოლად ვერ მოიმკი, მაგრამ თუ მოიმკე, არასოდეს დაგეკარგება. „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“ — თქვა ბრძენთა ბრძენმა, და იქვე: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

ეს სახელი კი მხოლოდ შენი საქმის სიყვარულით, ოჯახის სიყვარულით, სამშობლოს სიყვარულით და კაცთ სიყვარულით მოიხვეჭება, და კიდევ იმ დიდი სიკეთით მოიპოვება, რომელიც ყოველი ჩვენგანის სულის სიღრმეში ძევს და რაგინდ ხელგაშლილად ხარჯო, კი არ დაილევა, ათწილ გიბრუნდება, გავსებს სიხარულით, სიამაყით, და იმის ღრმა შეგნებით, რომ ამ ქვეყნად ტყუილად არ გიცხოვრია.

# „საპოვნელები“

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ღიმილის პრიზის მფლობელები

ამას წინათ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციაში სტუმრად იყვნენ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ სართავი საამქროს სახელგანთქმული ქვეოსტატი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ვერა ქემაშვილი და მისი ბრიგადის წევრები.

ბრიგადამ წლიური ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულა, მისი გამოშვებული პროდუქციის 98 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ამიტომაც რედაქციამ მას ღირსეულად მიანიჭა თავისი „ღიმილის პრიზი“.


ვერა ქემაშვილი

შემოაღამდა. შინ სიმარტოვეა და არ წაესვლება, არც მეგობარია ახლოს. ნეტავი, ვინმე გამოჩნდებოდეს! — ნატრობს გოგო, შველა უნდა, თავისივე დაუდგრომელი ხასიათის გამო სამსახური რომ დაკარგოს, ვინ დაუძახებს 16 წლისას, ვინ ეტყვის, მოდი, შენსას ყველაფერს გავიგებ, არც სიჯიუტე გამიკვირდება, არც ცუღლუტობას ჩაგითვლი ცოდვად, რადგან დედის ხელი დაგაკლდა და ოჯახური თბილი კერის აღზრდა არ მიგიღიაო.

შველა უნდა...


ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა ქემაშვილის ბრიგადის წევრები

და ისე მოხდა, როგორც ზღაპარში. მეორე დღეს მოევლინა მშველელი, რომელსაც მასავით განეცადა ობლობა, რომელსაც არ უკვირდა არც სიანცე და არც სიდინჯე, რომელმაც იცოდა, რომ ყველა იბადება ადამიანად და ამ ადამიანს თავისი წილი ჭირდება ყველაფერში.

კეთილმა სულმა იპოვა იგი, შეითვისა, გააამაყა და აფიქრებინა დედა ეწოდებინა გულში, არა ხმამაღლა!

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზღაპარში, როცა ლამაზ ობლებს კეთილი მფარველები ევლინებიან.

სინამდვილეში ყველაფერი თბილისში დაიწყო, მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში", სართავ მანქანებთან. ათ ნომერ ძაფის ბობინებთან, როცა გოგოს კეთილმა ადამიანმა ძალიან თბილად დაუძახა სახელი. ქვეოსტატი და გოგონა აქ დამეგობრდნენ. ოსტატი ცნობილი ქალია, სოციალისტური შრომის გმირი, ყოფილი ძაფის მრთველი და რიგითი მუშა, დღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი.

გოგონასათვის ის პირველ რიგში მაინც კეთილი სულია და შემდეგ ცნობილი ვერა ქემაშვილი, რომელმაც იგი იპოვა და მრთველი გახადა.

და იპოვა ვერამ ბრიგადის თითქმის ყველა წევრი.

წვიმდა, კახეთი რომ დასტოვა მეორემ. სიღნაღის ავტობუსი ხშირად ჩერდებოდა და თბილისისაკენ მიმავალ გზას აგრძელებდა. ავტობუსში ჭედვა იყო და გოგონას ბარგი მუხლებზე დაეწყო, ფეხები დაბრუჟებოდა, მაგრამ ღიმილით იხედებოდა დაორთქლილ მინაში;

გოგონას კოხტად ეცვა, თავისი შეკერილი კაბა მხრებზე ლამაზად შემოტმასნოდა, ოქროსფერი თმები სათეატროდ დავარცხნილს უგავდა, გულისპირზე უბრალო, მაგრამ ლამაზი შესაკრავი ებნია.

მან სიღნაღში ბულალტრობას თავი დაანება. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ტელევიზიით ვერა ქემაშვილი იხილა. მასთან მუშაობა გადაწყვიტა, და სადღაც, მალულად იმედი დაიტოვა, რომ თვითონაც გვარად ქემაშვილი იყო და უარს არ მეტყვისო

ხასიათი აქვს ასეთი: რასაც ჩაიფიქრებს, ასრულებს კიდეც. ჭრას, კერვას, კულინარიას და თავის დაზგას ნიაზი ქემაშვილი დიდი სურვილით დაეუფლა.

ასე იპოვა იგიც ვერამ. და მოვიდნენ ვერასთან სიყვარულით სხვებიც — ფატი გაჩეჩილაძე, ლალი ბანცაძე, მაია ჭანკოტაძე, თინა თიგიშვილი, ზოია ხინთიბიძე, ნარგული ჩხაიძე, თამილა შერმადინი, მანანა მოძღვრიშვილი, ცისანა სურმავა, მერი კალგაზოვა, ნადია გამჯაშვილი, რუსუსა სურმავა, რუსუდან გულაშვილი, ნანული ჩიბირაშვილი, მზექალა არაბული, ლეილა კასრაძე, სამძიმარა წიკლაური. ზოგი ხაშურის 109-ე პროფტექნიკური სასწავლებლის აღზრდილია, ზოგი თბილისის 241-ე პროფტექნიკურიდან არის, ზოგი — საშუალო სკოლიდან.

ისინი ფთილებიდან ძაფს ართავენ, ათ და ხუთ ნომერს. ათი ნომერი წვრილია და გაფაციცებული თვალი უნდა, რომ გაწყვეტა არ გამოეპაროთ. ხუთი ნომერი მსხვილია და თუ სხარტი არა ხარ, მალე ივსება ბობინები, სწრაფად უნდა გამოცვლა.

142 კილოგრამი ძაფია თითოეული გოგონას ნორმა ერთ ცვლაში. 153 კილოგრამს ყოველი მათგანი აბარებს. ბრიგადულ სისტემაზე გადასვლამ პასუხისმგებლობის გრძნობა გაუძლიერა მათ. ახლა მარტო საკუთარ თავზე კი აღარ ფიქრობენ, გვერდით მომუშავეზეც ზრუნავენ. „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“ — ამ დევიზმა გაამართლა ვერა ქემაშვილის ბრიგადაში — ამიტომაც 300-400 მანეთი თანაბრად ნაწილდება თვეში თითოეულზე. ბრიგადამ განსაკუთრებით ისახელა თავი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის შესახვედრად გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ოქტომბერში დეკემბრის გეგმა შეასრულა. წლის ბოლოსათვის ზეგეგმითი ძაფი დაამზადა. ვერაა მათი დედაცა და მეგობარიც. საქმეში მკაცრი, მომთხოვნი, საქმის გარეთ გულჩვილი და გულშემატკივარი, თითოეულის ბედსა და მომავალზე მზრუნველი. მას დეიდა ვერას ეძახიან, გულმხურვალედ უყვართ, და როცა ვერა საქვეყნო საქმეებით არის დაკავებული, ან თბილისში არ იმყოფება, უფრო მეტი მონდომებით შრომობენ, არავითარ საწყენს არ ახვედრებენ, მაშინ უფრო დამოუკიდებელნი და შემართულნი არიან.

პარტიის წევრი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ნარგული ჩხაიძე შევებულებას აცანაში ატარებს და სეზონზე მისი ოჯახი ტონანახევარ ჩაის საკარმიდამოდან აბარებს სახელმწიფოს.

მანანა მოძღვრიშვილს ვერავინასწრებს 150 ბობინის მოხსნას ცვლაში, დასვენების დღეებში კი ჭოპორტაში აკითხავს მშობლებს.

ჲარაგაულელი ლალი ბანცაძე მეხუთე შვილია ოჯახში და ორკვირაში ერთხელ წიფა რომ არ მოინახულოს, მოკვდება, ისე უყვარს მისი გადასახედიდან მთა-გორების თვალიერება.

ლალი ბანცაძე და ფატი გაჩეჩილაძე წელს 20 წლისანი გახდნენ და ერთად გადაიხადეს დაბადების დღე საამქროში — თავიანთ საჩაიეში.

ციცინო ცხოვრებოვას მტკიცე ხასიათი აქვს, რასაც გულში ამოიჭრის, იმას აღწევს. ეს სიჯიუტე შრომაშიც გამოარჩევს ხოლმე, მიადგება ციცინო საქმეს და ბოლომდე მიჰყავს იგი.

მაია ჭანკოტაძე რაიონული საბჭოს დეპუტატია, ხალისიანი და შრომისმოყვარე. არ შემცდარა მანანა მოძღვრიშვილი თავისთან რომ დააყენა იგი დაზგაზე და ხუთი ნომერი ძაფის ჭირვეულობას ერთად უძლებენ.

საერთო საცხოვრებელში ერთად ცხოვრობენ. კომფორტულ, ნათელ ბინებში მშვენივრად გრძნობენ თავს, ერთმანეთის ინტერესებს, ლხინსა და საზრუნავს იყოფენ, ოსტატდებიან, მკლავს იღონიერებენ, წელში იმართებიან...

**ლია კაკაბაძე**



ჩვენი ინტერვიუ

# პური

## ქართველი [illegible]

ალბათ დამეთანხმებით თითოეულმა ჩვენგანმა შეიძლება ისე იცხოვროს, რომ სურვილი არ გაუჩნდეს ყოველდღიურად სუფრაზე აუცილებლად ჰქონდეს ანანასი ან ხიზილალა, მაგრამ უპუროდ ერთხელაც ვერ ვისაუზმებთ, ვისადილებთ, ვივახშმებთ. პური ადამიანისათვის ნაბოძებ სიკეთეთა შორის ისევე აუცილებელია, როგორც წყალი და ჰაერი, ამიტომაც მოგვდგამს ოდითგანვე მისდამი განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა.

ქართველი კაცი რომ მიწაზე დაგდებულ პურის ნატეხს გულგრილად გვერდს არ აუვლიდა, სულს შეუბერავდა და ღობეზე შემოდებდა, ესეც იმას მეტყველებს, რომ იგი ჩვენი „არსებობის“ საფუძველთა საფუძველია და წინაპართა ამ საუკეთესო ტრადიციას მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

ჭეშმარიტი მამულიშვილი, მოქალაქე სწორედ ასეთ მზრუნველობას იჩენს ამ ყველაზე მეტად საჭირო პროდუქტისადმი, რადგანაც იცის, რაოდენ დიდი შრომა სჭირდება, სანამ სუფრაზე ახლადგამომცხვარი პურის სურნელი დატრიალდებოდეს. მაგრამ ზოგიერთნი პურისადმი გასაკვირველ უპატივცემულობას იჩენენ. ამის მომსწრეს, თავისთავად მებადება კითხვა: რატომ? სწორედ ამ კითხვამ მიგვიყვანა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს პურის, მაკარონისა და საფუარის მრეწველობის სამმართველოს უფროსთან კიმი ბუჯიაშვილთან, რომელთან საუბარშიც აშკარად გამოიკვეთა უმთავრესი — თბილისური პური არ მოსწონთ მომხმარებლებს, მათი საოჯახო სუფრიდან თანდათან გაქრა ესოდენ ნაქები თბილისური ფუნთუშა. ძვირფასი საკვებისადმი უპატივცემლობა მხოლოდ ზოგიერთის დაუდევრობისა და გულგრილობის შედეგი კი არ არის, მას უფრო ღრმა ფესვები აქვს და იგი უნდა ვეძებოთ ხარისხში, მიწოდებასა და გასაღებაში. ჩინებული ორგანიზატორი, დარგის პრესტიჟისა და ავტორიტეტისათვის მზრუნველი, გამოცდილი სპეციალისტი სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

**— პატივცემულო კიმი, დედაქალაქის მკვიდრთა პურპროდუქტების ნაწარმით მომარაგებაში უკანასკნელ ხანს გამოკვეთილი დადებითი ტენდენციები ხელშესახები და საგრძნობია. ეს, რა თქმა უნდა, ახალ სიმძლავრეთა ამოქმედების, მუშაობის სწორი ორგანიზაციის შედეგია.**

— ამჟამად თბილისში შვიდი პურის ქარხანა მუშაობს. მესამე პურის ქარხანაში რეკონსტრუქცია მიმდინარეობს და აპრილში გადაეცემა საექსპლოატაციოდ. დედაქალაქის მოსახლეობა ყოველდღიურად სამუალოდ იღებს 110 ტონა ქართულ, 300 ტონამდე კი საქარხნო პურს, 7-8 ტონა ფუნთუშეულს. ეს რაოდენობა სტაბილური არ არის. პიკის დღეებში იგი 450 ტონამდე იზრდება, ახალი წლისა და სხვა დღესასწაულებისას კი 480 ტონას აღწევს. ახლა უკვე თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თბილისში გვაქვს საჩვენებელი მერვე პურის ქარხანა (დირექტორი ი. კვინიხიძე), რომელიც უახლესი ტექნიკით არის აღჭურვილი და მისი ექვსი ავტომატური ხაზიდან მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პური გამოდის, რომლითაც ძირითადად ლენინის რაიონი მარაგდება.

ძველი თბილისის უბნებში გაიხსნა თონეები. იქ ზუსტად ისე აცხობენ ქართულ პურს, როგორც ჩვენი წინაპრები. რცხილის შეშა, წალამი განუმეორებელ არომატს აძლევს მას და ამიტომაც ვერ ავუდივართ მოზღვავებულ მომხმარებლებს.

ფართო ასორტიმენტის პურს უშვებს მეოთხე ქარხანა (დირექტორი ო. კაჭარავა). „საოჯახო“ ძირა პური, შოთი მოსწონთ თბილისელებს. ორჯონიკიძის ქუჩაზე, № 1 ქარხანასთან გაიხსნა ახალი თონე, სადაც თხელ მესხურ ლავაშს აცხობენ. აქ პურის შესაძენად უკვე დედაქალაქის სხვადასხვა უბნიდან მოდიან. ეს ძალიან კარგია და თუ ასე გაუფრთხილდებიან პურის მცხობლები თავიანთ ნახელავსაც და მესხური ლავაშის პრესტიჟსაც, უფრო მოუმრავლდებათ მომხმარებლები...

**— თუმცა მზა პროდუქტის ძალზე სოლიდური რაოდენობა დაგვისახელეთ, მაინც არის შემთხვევები, რომ საღამოს საათებში მაღაზიებში არ არის პური. ვაჭრობის მუშაკები მრეწველებს ადანაშაულებენ და პირიქით. სამუშაოდან გამოსულებს, რა თქმა უნდა, ეს არ აინტერესებთ. ისინი სამართლიან პრეტენზიებს აცხადებენ. ნუთუ ასე ძნელი გადასაჭრელია პრობლემა, რომლის გადაწყვეტა უკვე დახანებას ვეღარ ითმენს?**

— შენიშვნას სავსებით ვიზიარებთ. იმაშიც გეთანხმებით, რომ მომხმარებელს საღამოს აუცილებლად უნდა დახვდეს სასურველი წონის, ასორტიმენტისა და ფორმის ახალი პური, მაგრამ ამას ვერ ჰიკალ-

# ჩვენი არსობისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



წიეთ, რაშიც თანაბრად ვცოდავთ მრეწველებიც და გამსაღებლებიც.

ქარხანას განაცხადს პურის მაღაზია აძლევს. იგი ვალდებულია ზუსტად განსაზღვროს თუ რა რაოდენობის პროდუქტი სჭირდებათ მიკროუბნის მცხოვრებთ. მაღაზიამ თადარიგი აუცილებლად ორი-სამი საათით ადრე უნდა დაიჭიროს, რადგანაც პიკის საათებში გაძნელებულია ქუჩაში მოძრაობა. მაგრამ რა ხდება? ვაჭრობის მუშაკები რატომღაც თავს არიდებენ საღამოს პურის მიღებას, რადგანაც თუ იგი მთლიანად არ გაიყიდა, მეორე დღეს ყიდვა არავის არ სურს. გაუსაღებელი პური ქარხანამ უკან უნდა დაიბრუნოს, რაშიც 20 პროცენტით ნაკლებს უხდიან. ამიტომ ცდილობენ ზარალს თავი აარიდონ და ამჯობინებენ გულნაკლული გაუშვან მომხმარებელი. და ეს მაშინ, როცა გვაქვს ისეთი სიმძლავრე, რომლითაც შეგვიძლია სრულად დავაკმაყოფილოთ დედაქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილება.

იმასაც ვერ დავმალავთ, „რომ ხარვეზები მიმწოდებლების მუშაობაშიც შეიმჩნევა, მაგრამ ერთობლივი საქმიანობით ამ პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია.

**— არის ქვეყნები, მაგალითად საფრანგეთი, სადაც ძველ პურს უფრო ეტანებიან. თბილისში კი ყველას სტანდარტული, თონიდან ახლად ამოღებული ლავაში სურს. მოთხოვნის დაკმაყოფილებას პროგრესული მეთოდის დაუნერგავად, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებდით. რა სიახლეები გვაქვს ამ მხრივ?**

— თბილისში სულ 500-მდე პურის მაღაზიაა. აქედან 200 „თბილპურვაჭრობას“ ეკუთვნის. კარგად მოგეხსენებათ, უმეტესობას არა აქვს ისეთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომ შევძლოთ პროგრესული მეთოდების დანერგვა. ის კი არა და, კონტეინერული სისტემით, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა, მხოლოდ 64 ტონა პური შეგვაქვს სავაჭრო ქსელში, ეს იმიტომ, რომ არც ტრანსპორტი გვაქვს საკმარისი და არც მაღაზიებია მზად ამ ფორმით პროდუქტის მისაღებად. სამწუხაროდ, ახალ საცხოვრებელ უბნებშიც პურის მაღაზიებისათვის არ არის გამოყოფილი ისეთი ფართობი, რომელიც უზრუნველყოფდა ამ მეთოდის გამოყენებას. პრეტენზიები არასტანდარტულ პურზე უმეტესად იმის გამოა, რომ ცხელ პურს პირდაპირ ყრიან თაროზე, რის გამოც პროდუქტი „ილახება“, ეკარგება ფორმა, სკდება. ვიდრე არ ვისწავლით პურის სწორ რეალიზაციას, მის მიღებას, მანამდე საყვედურებიც იქნება და შენიშვნებიც...

**— თქვენ კარგად იცით, რომ სავაჭრო ქსელში ხშირად ხვდება უხარისხო, წონანაკლები პური და რაგინდ ფაქიზადაც უნდა მიიღო, ცომპურს იოლად ვერ გაასაღებ. რა მიგაჩნიათ ამის მიზეზად?**

— მცხობელი, რაც უნდა ეცადოს, კარგი ფქვილისაგან ცუდ პურს ვერ გამოაცხობს. რადგანაც ტექნოლოგიას ავტომატები არეგულირებს და ფქვილის ხარისხზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. ქარხნებში ზოგჯერ უხარისხო ფქვილი შემოდის, რომლისგანაც უხარისხო პური ცხვება. ალბათ იკითხავთ: რატომ? წისქვილკომბინატების ბუნკერები თვის ბოლოს აუცილებლად უნდა გასუფთავდეს. მერე უნდა მოხდეს მისი შევსება. დაფქულმა ხორბალმა 10-15 დღე აუცილებლად უნდა დაისვენოს. თუ ეს პროცესი არ შესრულდა, პური აუცილებლად დამსკდარი გამოცხვება. სინამდვილეში იძულებული არიან ქარხანაში თბილი ფქვილი წაიღონ. რას არ მივმართეთ, მაგალითად, გორის პურკომბინატისათვის უხარისხო ფქვილი არ მოგვეწოდებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდით. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო დაზიანებული მარცვლისგან კარგ ფქვილს ვერ „შექმნის“ და მერე გვიხდება მისი გამდიდრება სხვადასხვა კომპონენტებით, რომ პურმა ფორმა მაინც მიიღოს. მაგალითად ე. წ. „ვერის პურის“ გამოსაცხობად რძის შრატს ხმარობენ, რაც ფქვილის ეკონომიასაც იძლევა, ნაკლებადაც ძველდება და ხარისხიც უკეთესია. სამმართველოს საქმიანი კონტაქტები აქვს მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან. სწორედ მათთან თანამშრომლობით შექმნა ო. კვესიტაძემ ფერმენტი, რომლის ცომში შეყვანა საგრძნობლად აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. შავ და რუხ პურზე მომხმარებლის მოთხოვნილებას ჯერჯერობით ვერ ვაკმაყოფილებთ, მაგრამ ეს საკითხი საგანგებო კონტროლზე ავიყვანეთ და მალე დადებითად გადაწყდება.

**— მომხმარებელი ამაოდ ეძებს მაღაზიებში ისეთ თბილისურ ფუნთუშას, ბავშვობის წლებიდან რომ ახსოვს. რატომ გაქრა იგი ან რატომ გაძნელდა დილის საათებში ჩვეულებრივი ფუნთუშის შეძენა?**

— რა თქმა უნდა, რვა ტონა ფუნთუშა არ ეყოფა მილიონიან ქალაქს. მის მოცულობას 12 ტონამდე გავზრდით. ამისათვის არის გამიზნული ვეებერთელა საამქრო № 8 პურის ქარხანაში, რომელიც წელიწადის დამლევისათვის უკვე მიაწვდის სავაჭრო ქსელს ფართო ასორტიმენტის, უმაღლესი ხარისხის ფუნთუშეულს, ისეთს, მომხმარებელს რომ მოეწონოს.

**— საუბრის დასაწყისში გავიხსენეთ, რომ ქართველი კაცი შვილივით უფრთხილდებოდა და ესათუთებოდა პურის ნატეხს. ვფიქრობ საგანგაშოა ამ პროდუქტისადმი ზოგიერთის უგულო დამოკიდებულება. მართალია, მიზეზებს ნაწილობრივ შევეხეთ, მაგრამ უმთავრესი უთქმელი დაგვრჩა.**

— ვინც ნახა ომის ჯოჯოხეთური დღეები ან კიდევ სხვა გასაჭირი და აფასებს გლეხი კაცის შრომას, ვფიქრობ, მას არ სჭირდება შეხსენება, რომ პურს უნდა გაუფრთხილდეს, ეკონომიურად ხარჯოს და მხოლოდ საკვებად გამოიყენოს. კარგმა დიასახლისმა იცის, რა რაოდენობის პური იყიდოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრია ისეთი, ვინც არად აგდებს მომყვანის გარჯას, წვალებას და ისე მოისვრის ძვირფას საკვებს სანაგვე ყუთში, არც დაფიქრდება. და ეს მაშინ, როცა ძველი პურის გამოყენება შეიძლება როგორც სხვადასხვა კერძში, ისე ორცხობილის მოსამზადებლადაც. გამოდის სპეციალური ჟურნალი „ხლებოპეკარნაია ი კონდიტერსკაია პრომიშლენოსტ“, სადაც იბეჭდება რეცეპტები თუ როგორ მოვამზადოთ ყუათიანი, გემრიელი კერძები ძველი პურისაგან.

ორი აზრი არ არსებობს: ჩვენი არსობის უმთავრეს მატერიალურ პროდუქტს მეტი მზრუნველობა სჭირდება მისი წარმოების, ტრანსპორტირების, გასაღების, მოხმარების ყველა ეტაპზე. უკლებლივ ყველა, ვისაც ევალება პურის პრესტიჟის განმტკიცება, არ უნდა მოასვენოს ამაზე ფიქრმა, ვიდრე თბილისური პური და ფუნთუშეული ისეთი არ გახდება, როგორც თბილისელებს ეკადრებათ.

ესაუბრა

ჩარიტა მამისეიშვილი


ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის № 8 ქარხანაში

შ. გოქაძის ფოტო

გმირი დედის ღირსება

# დავითიანების დიდი ოჯახი

„ბევრი შვილი საქართველოს უკვდავებაა“, რაღა დაემატება ამ ჩინებულ ხატოვან გამოთქმას? — მხოლოდ საქმე!

იყო ღირსსახსოვარი ჟამი, როცა, — ზღაპრად თუ ცხადად, — ქართველი დედა ოც შვილს ზრდიდა. გავიხსენოთ თუნდაც ოცი ძმის ზღაპარი. თუმცა რაღა შორს წავიდეთ, ერეკლე მეფეს ქვეყნის ბედისთვის დამწვარსა და მუდამ ცხენზე მჯდომ სარდალს, რომელსაც ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია, 24 შვილი ჰყავდა. ცხრა ძმა ხერხეულიძე?! შვიდი ძმა მაჩაბელი?! ფალიაშვილების დიდი ოჯახი?! დღესაც მრავალია მამულის ეგზომ ერთგული მშობელი, თუნდაც ზარანდია, ხარძიანი, ნიგურიანი, რომელთაც მრავალი შვილის გაზრდისათვის დრამატურგმა კიტა ბუაჩიძემ თავისი ჰონორარი გაუგზავნა.

სამწუხაროდ, ზოგი განებივრებული ახალგაზრდა ხშირად სხვა აზრის არის: თავისუფლად ვინავარდებ, დროს გავატარებ, საქართველო სხვებმა ამრავლონო! ღმერთმა დაგვიფაროს და ყველამ რომ ასე იფიქროს, ხუთი ათეული წელიც არ დასჭირდება იმის აღგვას და გადაშენებას, რამაც ხუთი ათასი წლის ცეცხლის ქარს გაუძლო. არა, ასე არ ფიქრობენ ღირსეული მოქალაქეები, რომელნიც სამშობლოს მრავალშვილიანობით აძლიერებენ. საბედნიეროდ, ასეთებისა მთელი ლეგიონები

გვყავს და მათ რიგებშია ორი სვანი მშობელიც, რომელთა სახელები აქამდე რატომღაც პრესაში არ მოხვედრილა. მინდა გაგაცნოთ: მესტიის რაიონის სოფელ ზედა ლახამულის მკვიდრნი — შოთა დავითიანი და კლარა მიქიანი. მათთვის უცხოა ცარიელი აკვნის დარდი. თერთმეტი აკვანი დაურწევიათ. სიცოცხლით სავსე გოგო-ბიჭები დაუზრდიათ. საქართველო დედიდან იწყება. აი, ამ ჭერქვეშ იწყება საქართველო.

სულ უფროსი, ანდრო, ოცი წლისაა, ყველაზე პატარა და ლამაზი თემიდა — ორი წლისა; მართლმსაჯულების ქალღმერთის სახელით ემზადება ცხოვრების ასპარეზზე გამოსასვლელად. არც დანარჩენები ჩამორჩებიან. სათითაოდ ჩამოგითვლით, აი მათი სახელები: მზეონა, ხვიჩა, გოჩა, გულიზა, შორენა, საირმანი, ბაჩუკი, კობა და ლონდა. მზეონადან ბაჩუკამდე ყველანი სწავლობენ და ყველაზე ბეჯითი შორენაა. დიდოსტატი უნდა ასახელოს.

დედა — კლარა მიქიანი, სიცოცხლით სავსე, მკვირცხლი, საქმიანი, ენამახვილი და ჯერაც ახალგაზრდაა. ერთთავად შვილებს დასტრიალებს და თუ სადმე უზრდელი ბავშვი ნახა, დედას შეახსენებს: შვილს მარტო გაჩენა კი არა, გაზრდაც უნდაო! ერთხელ ერთმა ბრიყვმა ხუმრობით უთხრა: ქალო, თერთმეტ შვილს მოვლა არ უნდა, სხვა საქმე არა გაქვსო. დედამ ამაყად მიუგო: მე ჩემი ერის გაძლიერებაზე დიდი საქმე არ ვიცი, შენ მთელი დღე სიგარეტს რომ ქაჩავ, აბა ეგ არის საქმეო? „კლარ“ ხომ უცხო ენაზე „ნათელს“ ნიშნავს! რა უნდა ითქვას იმაზე ნათელი, რომ გმირი დედაა და მის მკერდს ოქროს ვარსკვლავი ამშვენებს!

მამა, შოთა დავითიანი, შრომისმოყვარე ოსტატია, მისი ნახელავი ავეჯი რომელ სახლს არ დაამშვენებს! თან სოფლის მაღაზიაში მუშაობს და ყველას ხელს უმართავს, რითაც შეუძლია. შოთა ნაკითხი და ცნობისმოყვარე კაცია. „მარად ცოცხალი ხელოვნება“ ვაჩუქე, სიხარულით ცას ეწია: „სოხუმში ვუნახე წიგნების გამყიდველს, მივვარდი, მაგრამ ვინ მომცემდა! ერთი ცალი მე არ მეკუთვნის? საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა მაქვს, ათას ტომამდეა. ჩემმა შვილებმა რომ წიგნი არ შეიყვარონ, რაღა ქართველები იქნებიან! პირველი ვაჟისათვის უკვე ამორჩეული მყავს საძლო — ეკა. თქვენ კარგად იცნობდით ეკა ქორთუას ბიძას — პოეტსა და რედაქტორს ისაკ ქორთუას. ის ქალიშვილი, გეუბნებით, გვარს ასახელებს, ისეთი გონიერი, ნაჭიერი და მშვენიერია. მინდა ჩემმა ოჯახმა საქმითაც გაამართლოს ყველას ნდობა“.

ასე მსჯელობს 11 შვილის მშობელი. [illegible] და [illegible] მისი. არც შეიძლება არ ერწმუნოთ, სამშობლოს საერთგულოდ რომ ესეთი საბუთი აქვს!

როცა ხარძიანების და სხვათა დიდ ოჯახებზე ჩამოვუგდე სიტყვა, გაიღიმა: „დიდება მათ! ისე კი, მე ტყუპებით მაჯობეს!“

ღირსეული მშობლები ზრუნვითა და პატივისცემით არიან გარემოცული, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ავიწყდებათ, როცა წამახალისებელი ღონისძიებები ტარდება (ფასიანი საჩუქრები, შეხვედრები რეკლამა...).

ასეთია ერთი შეხედვით დავითიანების ოჯახი. მომავალი წინ არის. ვუსურვოთ ბედნიერება!

**აკაკი გელოვანი**



...დანარჩენები შინ არ იყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოჩენილი მეცნიერი და მოღვაწე

ჩვენი ერის წარსულმა, მშვიდობა და დიდება იქნებოდა თუ გაუძლისი დუხჭირი, მეტადრე დიდმა ჭირგამოვლილობამ, ქართველი ვაჟკაცის გვერდით გამოსჭედა სახე ჰკვიანი, მგრძნობიარე და გულოვანი, ოჯახისა და ქვეყნისათვის თავდადებული ქართველი ქალისა. აუწონელია მისი ამაგი ხალხის არსებობის, მისი თავისთავადობისა და დედაენის გადარჩენაში.

აწ საქართველოს მზეობის, ლაღი ცხოვრების ხანი უდგას. უკლებლივ ყველა მის სარბიელზე ქართველი ქალი სასახელოდ თავს იჩენს. და თუ ჩვენს წარჩინებულ საბჭოთა ქალებს შორის ვისმე, თუნდ ძველის კვალობაზე, თუნდ დღეისობის გმირად და საბაძავად, ქართველი ქალობა ეთქმოდა და სრულად შვენოდა, თინათინ წერეთელიც გახლდათ. იგი იყო მთელ საბჭოთა კავშირში პირველი მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი სისხლის სამართლის დარგში, საქართველოს აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და ამაგდარი საზოგადო მოღვაწე.

სამი წელიწადია, რაც იგი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას გამოაკლდა, თავის სახსოვარ ძეგლად მან დაგვიტოვა გამოჩენილი მეცნიერის, ღირსეული მოქალაქისა და მამულიშვილის ნაღვაწი — ცოდნისა და ნააზრევის მადანი შრომებისა, სამართლის პრობლემების სამეცნიერო-საკვლევაძიებო 1957 წელს დაფუძნებული კერა და მისი ულლის საიმედოდ გამწევი მოწაფენი.

2 ნოემბერს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში აკადემიის პრეზიდენტმა ევგენი ხარაძემ პატივისა და სიყვარულის მიმზღველი სიტყვით გახსნა კონფერენცია „სისხლის სამართლის აქტუალური პრობლემების“ თაობაზე, რომელიც თინათინ წერეთლის დაბადების მე-80-ე წლისთავს მიეძღვნა.

თინათინ წერეთელი თავისი დროის მოწინავე საზოგადო მოღვაწის ვასილ წერეთლის ოჯახიდან გახლდათ. თავადაც ღირსებამომადლებულ ასულს ამ ყოვლად უმწიკვლო კულტურული კერისა და მისი რჩეული წრისაგან გამოჰყვა ცოდნის წყურვილი, ლიტერატურისა და ხელოვნების სიყვარული, მაღალი შეგნება და თავდაუზოგაობა კეთილი საქმისათვის.

თინათინი საკვირველი ადამიანი იყო. ურყევი ლოგიკა, მოაზროვნე გონება, გაზიარება სხვისი გულწრფელი აზრისა თუ რწმენისა, და პრინციპულობა, როცა საუბარი ზნეობასა და იდეას შეეხებოდა; ერთგულება, სიუხვე და მზრუნველობა — და ყველა ეს მასში იშვიათად მთელის კეთილშობილებით იყო შერწყმული.

კარგი მოქალაქე იყო. მე მომიწია, განსვენებულ გივი ჟვანიასთან ერთად რამდენსამე წელიწადს თინათინის მეთაურობით ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაზე მემუშავა. მისი დამსახურებაა, რომ საჭირბოროტო ეროვნული საქმე წარმატებით დასრულდა და სათანადო ლექსიკონის რუსულ-ქართული ნაწილი მისივე რედაქტორობით გამოიცა კიდეც („მეცნიერება“, 1963 წ.). მას აქეთ, აგერ თითქმის მეოთხედმა საუკუნემ განვლო და ახლა, როცა ტერმინოლოგიის ქართულ-რუსული ნაწილიც დასაყოვნებელი აღარ არის და გამოცემულსაც გადახედვა და შევსება არ ავნებს, ვერც კი წარმომიდგენია უთინათინოდ ამ საქმეს როგორღა მოევლება.

საერთოდ, უბრალო და მოკრძალებული, თინათინი საზიარო შრომაში უნაკლო კოლეგიურობას იჩენდა. კეთილი გულის პატრონი იყო, მაგრამ უწყინარი გახუმრებადაცინვაც იცოდა. მე, ქართული სამართლის ისტორიის მიმყოლი, ხშირად ძველი ტერმინების გაცოცხლებას ვიჩემებდი და ცოდვა გატეხილი ჯობია, ზოგჯერ ვცოდავდი კიდეც. მაგრამ თინათინის უტყუარი შეგრძნება სინამდვილისა ზომიერების დარაჯად იდგა. ბევრი სახალისო მოგონება დაგვრჩა მაშინდელი თანამშრომლობისა და ცხარე პაექრობათაგან.

თინათინ წერეთელი ჭეშმარიტი იურისტი იყო. თუკი რაიმე საჭოჭმანო სამართლებრივი საკითხი წამოიჭრებოდა, თავის მოქალაქეობრივსა და პროფესიულ ჭხლს იოტისოდენადაც არ გადაუდგებოდა. კაცი განცვიფრდებოდა, როგორ იცვლებოდა ამ ყოველისგამზიარებელი, ვიტყოდი, გულჩვილი ადამიანის საუბრის კილო, როგორი ზედმიწევნით ლოგიკური, თანამიმდევრული დიალოგით მიმდინარეობდა, რა დახვეწილ სისტემურ ცოდნას ემყარებოდა, რა დასაბუთებული იყო ხოლმე მისი დასკვნები.

თინათინ წერეთლის ეს ზუსტი იურიდიული აზროვნება სამოქალაქო სამართლის წიაღიდან მიმდინარეობდა. იგი შვიდ წელიწადს უნივერსიტეტში სამოქალაქო სამართლის კურსს კითხულობდა და მის რთულ ცნებათა სისტემას კარგად ფლობდა.

თინათინს მოსიყვარულე გული ჰქონდა. ბედით უშვილოს, თვალის ჩინად და საზრუნავად და-ძმის შვილები და შვილიშვილები ჰყავდა. მაგრამ მისი, თუ გნებავთ, დედური გრძნობა ნათესაურ წრეს არა კმარობდა და არასრულწლოვან დამნაშავეთა მწარე ბედზე ხშირად ღონდებოდა. მისი თაოსნობითა და ზრუნვით არის, აკადემიის სამართალმცოდნეობითი დაწესებულება არასრულწლოვანთა დამნაშავეობისა და კრიმინალური ფსიქოლოგიის საკითხებს რომ შეისწავლის.

თინათინ წერეთელმა სახელი გაუთქვა ქართულ იურიდიულ მეცნიერებას საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ. მისი შრომები მტკიცედ დამკვიდრდა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში. ისინი ითარგმნა უცხო ენაზეც. თინათინი ღირსეულად წარმოადგენდა ხოლმე საბჭოთა სამართალმცოდნეობას საერთაშორისო ფორუმებზე რომში, პარიზში, ნიცაში, ბუდაპეშტში, ვარშავაში; ხელმძღვანელობდა საბჭოთა იურისტების დელეგაციას პოლონეთში; აკეთებდა მოხსენებებს თანამედროვეობის მომეტებულად მწვავე სამართლებრივ საკითხებზე.

ვინც თინათინ წერეთელს იცნობდა, ვინც მას ერთხელ მაინც შეხვედრია პირადად, არ შეიძლება განსაკუთრებული პატივისცემა და მოწიწება არ ეგრძნო მის მიმართ.

დიდი მეცნიერი ქართველი ქალი ღირსია, რომ მისი ხსოვნა მარადიული იყოს.

დავით ფურცელაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

შალვა ამონაშვილი,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

## წერილები ჩემს ქალიშვილს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ...უდედოდ გაზრდა ვინა თქვა შვილისა

(წერილი მეოთხე)

სალამო მშვიდობისა, ჩემო კეთილო გოგონი!

არის ქვეყანაზე ერთადერთი ადამიანი, ურომლისოდაც არ არსებობს არცერთი სხვა და რომლის გულიც ცხრა მზეზე მხურვალე და ძლიერია — დედაა ეს. მე მარტო დედაშენზე კი არ ვამბობ, მხედველობაში მყავს ყველა ნამდვილი დედა (რა დასამალია, მაგრამ ძალიან იშვიათად არიან ვითომ დედები და ვითომ შვილებიც), რა თქმა უნდა, დედაშენიც — ჩემი ცოლი, ჩემი მეუღლე. იცნობ დედას? ვიცნობ, როგორ არ ვიცნობო, მეტყვი და კიდეც გაიკვირვებ — ეს რას მეკითხებიო. მე კი მგონია, რომ არ იცნობ დედას კარგად.

**დედა რომ გაიცნო, გულში უნდა ჩახედო, მისი თვალებით უნდა დაინახო საკუთარი თავი.**

დედას კი შვილები ხშირად იმ ადამიანად თვლიან, რომელიც მათ უვლის, საჭმელს უმზადებს, ურეცხავს, დაუსრულებლად ჭკუას არიგებს, რალაცის ნებას აძლევს, რალაცას უკრძალავს ან აიძულებს; დედა, მათი აზრით, ის ადამიანია, რომელსაც შეიძლება წაეჩხუბო, რომელსაც უნდა დაუმალო, რომ გაკვეთილიდან გაიპარე. ორიანი მიიღე; იგი მოსვენებას კარგავს, როცა შვილი სკოლიდან ან სეირნობიდან დაბრუნებას აგვიანებს და ამიტომ შვილმაც არ იცის, როგორ დაიხსნას თავი დედის მეურვეობისაგან. მაგრამ დედა ის ადამიანიც არის, რომელსაც შეიძლება ჩაუდო თავი კალთაში და სლუკუნით უამბო, როგორ გიმტყუნა მეგობარმა, რა უსამართლოდ მოგექცა მასწავლებელი, რა სულელური შეცდომა მოგივიდა საკონტროლოში. სხვადასხვანაირნი არიან ნამდვილი დედები, მაგრამ ყველა დედის გული ცხრა მზეზე უფრო ძლიერი და მხურვალეა. შვილს შეიძლება კარგად არ ესმოდეს რას ნიშნავს მისთვის დედა, მაგრამ ყველა დედამ იცის, რომ შვილს უდედოდ გაუჭირდება, უდედოდ გაზრდილი შვილი დაიჩაგრება.

ამას წინათ მე და დედაშენი სამუშაოდან ვბრუნდებოდით. ვაჟა ფშაველას ძეგლის წინ ერთმა სანახაობამ შეგვძრა. ახალგაზრდა ქალი, ავადმყოფური, გამხდარი, გამეტებით ურტყამდა ჯოხს ცხრა წლის ბიჭს. მარცხენა ხელი თმაში ჩაევლო, რომ ბიჭი არ დასხლტომოდა. ბავშვი არც აპირებდა გაქცევას, უმწეოდ იფარებდა თავზე ხელებს და დედას თვალებში შესცქეროდა. ასფალტზე გახსნილი ჩანთა ეგდო. ვერ მოვითმინეთ, მივვარდით, ჯოხი წავართვით (სწორედ ის ჯოხი, საწერ მაგიდაზე რომ მიდევს), დავაშოშმინეთ — „როგორ შეიძლება ბავშვის ცემა, განა ასეთი რა დააშავა!“ ქალი დედა აღმოჩნდა, ატირდა ცხარე ცრემლით, თითქოს ბოდიშსაც გვიხდიდა, რომ ქუჩაში ასეთი რამ ჩაიდინა. მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნაამბობიდან გავიგეთ, რომ ქმარი სადღაც შორს წასულა (იქნებ კიდეც მიუტოვებია ოჯახი), ეს ერთი ბიჭი ჰყავს: თვითონ ფილტვების კიბო აქვს, უკანასკნელ დღეშია („მალე მოვკვდები, ძალიან კარგად ვიცი!“) და მოსვენებას უკარგავს შვილის დარდი — ვინ მოუვლის, უდედოდ როგორ იქნება, როგორი კაცი გაიზრდება. დღეს კი სკოლიდან ბიჭმა ორი საათი დაიგვიანა, „შემეშინდა, იქნებ გადასასვლელზე მანქანა დაეჯახა მეთქი, რა არ წარმოვიდგინე... ავდექი ლოგინიდან, წამოვედი სკოლისაკენ, ტროტუარზე რაღაც წითელი შევნიშნე, შვილის სისხლი მეგონა“... დედამ თავისი ნაცემი შვილი მკერდზე მიიხუტა, აღარ გცემო, ეუბნებოდა, ცოტა ხანს კიდევ მინდა გიყუროო. ბიჭიც ეფერებოდა, თავს იმართლებდა — მასწავლებელმა დაგვტოვა და იმიტომ დამიგვიანდაო. დედა ჩვენ მოგვიბრუნდა: „ვიცი ჩვენს ქვეყანაში ბავშვი არ დაიკარგება, ყველა მეზობელს შევეხვეწე, შვილს მიმიხედოს, გზას არ ასცდეს, მასწავლებლებსაც ჩავაბარე, ახლა ჩვენი უბნის სახლები მინდა დავიარო, თქვენც გეხვეწებით, დაიხსომეთ ჩემი ჯემალი, ქუჩაში რომ შეხვდებით, გააჩერეთ და ჰკითხეთ, როგორი კაცი დგება, დაარიგეთ“... ახალგაზრდა ქალი თავს კი არ გვაბრალებდა, შვილს გვაშვილებდა ყველას და მისი გულიდან ცხრა მზე ერთად აშუქებდა...

ვიცნობ დედაჩემსო, თამამად მეტყვი. ასე მეგონა მეც, რომ ვიცნობდი დედაჩემს. ერთხელ პიონერთა ბანაკში ვმუშაობდი, ძალიან ავად გავხდი. ვინ უთხრა, ვინ შეატყობინა დედას? მოულოდნელად დეპეშა მივიღე — სასწრაფოდ ჩამოდიო. ვკითხე, საიდან გაიგე, რომ ავად გავხდი მეთქი? გულმა მიგრძნოო, მითხრა. მე მჯერა, რომ დედის გულს მართლაც შეუძლია იგრძნოს, როგორ არის შვილი. რამე ხომ არ სტკივა, რამე ხომ არ აწუხებს. მე ბევრი სურვილი მქონდა ბავშვობაში, მაგრამ დედა, რომელიც ომში დაღუპული მამის მაგივრობასაც მიწევდა, ყველაფერს როდი მისრულებდა. ეზოში დიდხანს თამაშს არ დამანებებდა, არ მომცემდა ნებას, რომ ფუჭ გართობას მივცემოდი, არ გამამართლებდა ამხანაგებთან ჩხუბში, მას უნდა სცო-

დნოდა, როდის და სად ვიყავი. ამის გამო ბევრი კონფლიქტი მომსვლია დედასთან, ზოგჯერ კი ვფიქრობდი, რომ დედაჩემი ზედმეტად მკაცრი, ბრაზიანი იყო, ჩემგან მეტისმეტს ითხოვდა, ტყვეობაში ვყავდი. სამაგიეროდ დედა არასოდეს შემიზღუდავდა წიგნის კითხვას, უკანასკნელ კაპიკებს, პურის ფულსაც კი მომცემდა, ოღონდ ჩემთვის საინტერესო წიგნი მეყიდა; ხალისით მიშვებდა პიონერთა სასახლეში, სადაც ლიტერატურის წრეში ვიყავი ჩაბმული, გულღიად ღებულობდა ჩემს ამხანაგებს, რომელთა შრომისმოყვარეობაში ეჭვი არ ეპარებოდა. დედამ დამაკისრა ოჯახში ყველა წვრილმანის გაკეთება, რასაც ჩვეულებრივ მამაკაცის ხელი სჭირდებოდა. არ დამიშალა, რომ ადრიანად დამეწყო მუშაობა, მეგრძნო დამოუკიდებელი შრომის ღირსება და ოჯახის წინაშე უფროსი შვილის პასუხისმგებლობა. ახლა ხშირად ვფიქრობ ხოლმე: ვთქვათ და, მევლო ჩემს ნებაზე, დავსხლტომოდი ხელიდან დედის გონიერებას. მაშინ? არ ვიცი, რა მოხდებოდა მაშინ, ის კი მჯერა, რომ სასიკეთო არაფერი გამოვიდოდა. დედას თავისი ჰოთი და არათი ადამიანობისაკენ მივყავდი, მას თვალწინ ედგა ხატი ჩემი ადამიანობისა, კაცური კაცობისა; იმ ხატისკენ თითს მიშვერდა, იმისკენ მეწეოდა: მე კი ლიბრი მქონდა გადაკრული, თვალებზე კი არა,— გონებაზე, ვეჯიუტებოდი — „რა დროს ეგ არის, გამიშვი ნებაზე!“ დედა მოთმინებით და შეუპოვარი ერთგულებით მაცლიდა ამ ლიბრს, რომ ქვეყანა მარტო თვალებით კი არა, გონებითაც დამენახა... ახლა დედაჩემი მოხუცია, ხან რას იტკიებს, ხან რას, მაგრამ მისი გული ისევ ცხრა მზეზე ძლიერია და მეც მაძლიერებს, მამხნევებს, როცა გაჭირვება მადგას, როცა ახალი ძალები მჭირდება, რომ არ დავძაბუნდე... შვილები, სამწუხაროდ, გვიან ეცნობიან დედებს, გვიან იგებენ, ვინ ყოფილა მათ გვერდით, გვიან განიცდიან დედის გულის სითბოს, როგორც შორეული ვარსკვლავის სხივებს. მანამდე კი დედა შვილებზე ფიქრსა და ზრუნვაში ტყდება, ჭაღარავდება; თუ მიამსგავსა ხატს შვილები, ხომ ბედნიერია და ბედნიერი, რა სალაპარაკოა წარსული სიმწარე, დედას თავი ეამაყება, ქვეყანაზე გამოჩენა უხარია — „ჩემი შვილები, იცით“... მაგრამ თუ ვერა — უფრო დაპატარავდება დედა, ჩუმჩუმად იტირებს, ხალხს დაემალება, ან იქნებ კარდაკარაც იაროს და ქვეყანას ბოდიში მოუხადოს — არ გამიმართლა დედობამო...

თუ გინდა გაიცნო დედა, ეცადე გულში ჩახედო, შვილო! მე ძალიან მახარებს როცა შენ და დედა ერთად შრომობთ, — ბინას ალაგებთ, სარეცხს რეცხავთ, სადილს ამზადებთ. ზოგჯერ დედა ცდილობს არ დაგასაქმოს, მე თვითონ გავრეცხავ, შენ არ მჭირდებიო, გეუბნება. შენც მიამიტურად გჯერა, რომ დედას არ სჭირდები. მართლა არ უნდა განა დედას, რომ დაეხმარო?! რატომ ცდილობს, ნაკლებად დაგტვირთოს?! ამიტომ გეუბნები, გულში უნდა ჩახედო მეთქი — იქ გაიგებ, რომ დედამ ორმაგი ტვირთი იკისრა, რათა შენ შესაძლებლობა მოგცეს შენი მომავალი ადამიანობისათვის შეემზადო. ზოგიერთი ქალიშვილი იფერებს დედის გაორმაგებულ შრომას, სჯერა, თითქოს თვითონ უფრო დიდ საქმეებს აკეთებს, ვიდრე დედის შრომაა. უბედურებაა... ქალიშვილი განებივრებული და დედის უმადური ხდება — „მომიტანეთ, მომართვით, რა გული გამიწყალეთ, არ მცალია...“ თუ დედას იცნობ, მაშინ არ დაუჯერო, მიეტანე ხელებში, ამოუდექი გვერდით, შენც დაიღალე მასთან ერთად. მერე დაამშვიდე კიდეც: დაანახვე, რომ იმ საქმესაც აკეთებ, რაც შენს მომავალ მოქალაქეობას სჭირდება. დაე, წუხდეს დედა, რომ ადრე მოგიხდა დილით ადგომა, გვიანობამდე ვერ დაიძინე, სიამოვნება დაგაკლდა.. „დედა მოუკვდეს ჩემს შვილს, ბევრ სიამოვნებას აკლდება, ოღონდ შრომა შემიმსუბუქოს!“ — იტყვის დედა და ბედნიერი იქნება. ისიც მახარებს, როცა შენ და დედა ერთად მიდიხართ კინოში, თეატრში, კონცერტზე, კითხულობთ ერთიდაიგივე წიგნებს, მერე კამათობთ, საუბრობთ, იხილავთ. ზოგჯერ ერთად მღერიხართ ხოლმე, ან ოთხი ხელით უკრავთ პიანინოზე. ძალიან მიყვარს, როცა შენ და დედას ერთად გხედავთ — ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებით, რაღაც საიდუმლოს ინახავთ. „რაზე საუბრობთ?“ „არაფერზე!“ — და ორივე საეჭვოდ იღიმებით.

დედისა და ქალიშვილის ურთიერთობა განსაკუთრებულია. ვის გაუმჟღავნოს ქალიშვილმა თავისი ყველაზე დიდი გულისწუხილი, შიში, ეჭვები? — დედას, სხვას ვის! დედა გაუგებს, მიუხვდება, დაიფარავს, გაამხნევებს. მაგრამ დედასაც ხომ უნდა, რომ გულითადი მეგობარი ჰყავდეს, საიდუმლო გაანდოს, მასთან ერთად იფიქროს ოჯახის საქმეებზე, მეუღლეზე? ვინ უნდა იყოს ასეთი გულითადი მეგობარი დედისთვის? — ვინ და ქალიშვილი, სხვა ვინ!

უკაცრავად, ქალიშვილებო, რამდენი წლის ბრძანდებით — თოთხმეტის, თხუთმეტის, უფრო მეტის? მაშ უკვე შეგიძლიათ დედას გულითადი მეგობრობა გაუწიოთ. როგორ? ამას თვითონაც მიხვდებით! ოღონდ ისე კი არა, რომ დედას დაუფიქრებლად და ჯიუტად უპასუხებდეთ — „არ მინდა, არ გავაკეთებ!“ არც ისე, რომ დედას ცხრაჯერ გაამეორებინოთ თხოვნა, ზლაზვნით მიეწართმოდეთ მისი დავალების შესასრულებლად. და, ბოლოს, არც ისე, რომ მოსაფერებლად მოსულ დედას ხელი აუქნიოთ, მომეშვიო, უთხრათ. რა ემართება ამ დროს დედის გულს? — იკუმშება, სისხლი კედლებს აწვება, თვალებს ცრემლი ახრჩობს. ასეთ ვითარებაში კი დედა და ქალიშვილი ერთმანეთს სცილდებიან, უცხოვდებიან. ქალიშვილს რა უჭირს — ახალგაზრდობა მისია, გატაცებით დანანაობს ცხოვრების ტალღებზე, ხარობს ქმარშვილში, დედას კი გული უკვდება — ქალიშვილმა დაივიწყა... არა, ქალიშვილს ახსოვს, რომ დედა ჰყავს, მაგრამ დაივიწყა, რომ დედას მისი მეგობრობა სწყურია. ასე კი არ უნდა მოიქცეთ, კეთილო გოგონებო, არამედ თვითონ უნდა ეცადოთ ამოიცნოთ დედის გულისწუხილი, უნდა დაასწროთ მას მოფერება და ალერსი, უნდა მიინდოთ გულის გასახსნელად. თუ დედას იცნობთ, მაშინ ისიც უნდა იცოდეთ, როდის რა ეწყინება და რა გაახარებს, ხოლო თუ დედა გიყვართ, მაშინ იმასაც ეცდებით, რომ მეტი სიხარული მიანიჭოთ და ნაკლები წყენა. ასეთია ჩემი ფიქრები ქალიშვილისა და დედის ურთიერთობაზე.

**ყველა დედას შვილები ქვეყნისთვის, ხალხისთვის უნდა, მაგრამ თავისთვისაც უნდა.**

დედა შვილს რომ ზრდის, იმაზეც ფიქრობს, რომ მოხუცებულობაში იმედად ეყოლება, ქალიშვილი მიხედავს, მოუვლის, ამაგს დაუფასებს. ადამიანს შეიძლება ყველანაირი ცოდვა მივუტევოთ, მაგრამ რა სამართალი დასჯის ან გაამართლებს შვილს, რომელმაც დედის ამაგი არ დააფასა.

დედის სიყვარულს სწავლა უნდა, შვილო, უნდა ისწავლო, როგორ გიყვარდეს დედა. როცა პატარა ბავშვს ეკითხებიან, დედა როგორ გიყვარსო, მუშტებს კუმშავს, სხეულს ძაბავს, თვალებს მაგრად ხუჭავს, სუნთქვას იკრავს და, ბოლოს, „მწუ!“ ჰაერს კოცნის, — ასე მიყვარსო.

დედა ნაზად უნდა გიყვარდეს, უნდა უფრთხილდებოდე, რომ შენმა სიტყვამ, საქციელმა გული არ ატკინოს, პატივს უნდა სცემდე, ტკბილად, ფაქიზად, გულწრფელად უნდა ეფერებოდე.

ჩვენ ჯერ ჭარმაგად ვართ. დედაშენიც და მეც ბევრს ვშრომობთ. დედა ოჯახში შთაგვაგონებს ყველას, აწესრიგებს ჩვენს ცხოვრებას, სამუშაოზე მას იცნობენ როგორც ნიჭიერ და შემოქმედ პედაგოგს. პირადად ჩემთვის კი დედაშენი ის ქალია, რომელზეც ოცი წელიწადია, ამაყად გეტყვი, — შეყვარებული ვარ. მერე რა, რომ შვილი ხარ? არავის, არც შვილს არ მივცემ ნებას ხმამაღალი სიტყვა უთხრას დედას — ჩემს მეგობარსა და მეუღლეს. ამ გახსენებაზე, — იცი, რა სახალისო ამბავი შეგვემთხვა წუხელ? ჩვენ ხომ გვიან დავბრუნდით, შენც და შენს ძმასაც უკვე გეძინათ. ბებიასგან ვბრუნდებოდით. ფილარმონიის წინ ავტობუსს დავუწყეთ ლოდინი. გაჩერებაზე ჩვენს მეტი არავინ იყო. ვსაუბრობდით, ვიცინოდით, და უცბად მომინდა მაგრად მოვხვეოდი, მეჩურჩულა: „ჩემო ძვირფასო, მიყვარხარ!“ ისე აღმეძრა სურვილი, რომ ასეც მოვიქეცი. დედაშენს თვალებში ნაპერწკლები აუთამაშდა და უფრო ლამაზი გახდა. ერთი-ორი წუთის

შემდეგ შევნიშნე, რომ ქუჩის მეორე მხრიდან ჩვენსკენ ახალგაზრდა, ოციოდე წლის მილიციელი მოდის. ვიფიქრე, ყოფილი მოწაფე იქნება მეთქი, უნდა, რომ თავი გამახსენოს, გამომესაუბროს, და ცნობისმოყვარეობით დავაკვირდი. ის კი მოგვიახლოვდა, მარჯვენა ხელი ქუდთან მიიდო და მკაცრად მომმართა: „თქვენი საბუთები, ამხანაგო!" ყურებს არ დავუჯერე. „რად გინდათ ჩემი საბუთები?" არც არაფერი საბუთი მქონდა ჯიბეში. ოცი წლის ბიჭმა 52 წლის კაცს ჭკუის დარიგება დამიწყო: „არა გრცხვენიათ, ამ ხნის კაცი ქუჩაში ქალს ეხვევით, რა მაგალითი უნდა მიიღონ თქვენგან სხვებმა?" თან ორივე ხელი წრიულად დაიჭირა და მკერდისკენ მიიზიდა, ვითომ, აი, ასე ეხვევოდიო. „მე ამ ქალბატონს, ჩემი შვილების დედას, არასოდეს მოვაკლებ ალერსსა და მოფერებას და ახლაც ვაკოცებ!" ვუთხარი მილიციელს. შემდეგ დედას ლოყაზე ვაკოცე და ისევ მილიციელს მივმართე: „ახლა წამიყვანეთ, ამხანაგო, მილიციაში! ამაზე კარგი მიზეზი სხვა რა უნდა მქონდეს, რომ ერთხელ მაინც დამიჭირონ!" მილიციელ ბიჭს ნირი წაუხდა, ბოდიში, ბიძიაო, ისევ ხელი ქუდთან მიიდო და გაბრუნდა. რას იტყოდით ნეტავ, ჩემი შვილები, ამ მიზეზით მართლაც რომ დავეკავებინე წუხელ მილიციელს?..

ჩემს პატარა სეიფში ერთი ლექსი მაქვს შენახული. მგონი, მეხუთე კლასში იყავი, როცა დაწერე. აი ეს ლექსიც.

დ ე დ ა

ზის და ფიქრობს დღე და ღამე. ეს ვინ
არის? – დედა!
სულ წყნარი და თან ჭკვიანი, ეს ვინ
არის? – დედა!
სულ უბრალო და ლამაზი, ეს ვინ არის?
დედა!
სულ უბრალო ჩაცმულობის, სულ
უბრალო ქალი,
სულ იცინის და იღიმის ჩემი კარგი
დედა!

იმ გრძნობებს გაუფრთხილდი, შვილო, რითაც ეს ლექსი დაწერე, ამრავლე ეს გრძნობები. დედაზე ტკბილი და საყვარელი ადამიანი არ არსებობს ქვეყანაზე.

ტკბილ ძილს გისურვებ, ჩემო ძვირფასო, და თუ მაინცდამაინც სიზმარს ნახავ, კარგად დააკვირდი, როგორ გაუბრწყინდება დედას სახე, თუ ვინმე ეტყვის, რა კარგი შვილები გაგიზრდიაო. **ᲨᲔᲜᲘ ᲛᲐᲛᲐ.**



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ოქროს რთველი





ელექტრონული ბიბლიოთეკა

# მარინე ჯანაშია

ალბათ არ არსებობს გოგონა, რომელსაც მსახიობის არნახულ პოპულარობაზე და კინოს მომხიბვლელობაზე არ ეოცნებოს, მაგრამ მარინე ჯანაშიას თითქმის არასოდეს უფიქრია ამაზე. მისი მიზანი სხვა იყო — ფილოლოგობას ესწრაფვოდა, იოლად ითვისებდა უცხო ენებს და სერიოზულად ფიქრობდა რომ იპოვა საკუთარი მიზანი, საქმე, გატაცება, მაგრამ? ცხოვრება მართლაც სავსეა მოულოდნელობებით: მარინე ჯანაშიას ცხოვრებაც სწორედ ერთმა [illegible]ეთმა შემთხვევამ შეცვალა და განსაზღვრა.— რეჟისორი რეზო ჩხეიძე გოგონას როლის შემსრულებელს ეძებდა ფილმ „ღიმილის ბიჭუნისათვის“. ამიტომაც ქუჩაში მიმავალ მრავალ ქალიშვილს დაუსვეს მოულოდნელი კითხვა: — არ გინდა კინოში გადაღება?

ასე ეწვია იგი პირველად კინოსტუდიას. მართალია, შემდეგში ის როლი ლეილა ყიფიანმა შეასრულა ჩვეული მიმზიდველობითა და უშუალობით, მაგრამ რეჟისორის მიერ მარინესათვის ნათქვამმა სიტყვებმა — იქნებ თეატრალურ ინსტიტუტში გეცადა ბედიო, სასწაულებრივად იმოქმედა და მარინემ უეცრად იგრძნო, რომ სწორედ მსახიობობა იყო მისი საქმე, რომელიც შემთხვევამ აპოვნინა... ასე დარჩა ოცნებად სურვილი ფილოლოგობისა.

ახლა ძნელი სათქმელია, როგორი იქნებოდა ფილოლოგი მარინე ჯანაშია (თუმცა აქვე შეიძლება ითქვას, რომ მარინე შრომისმოყვარეობის წყალობით ალბათ წარმატებას მიაღწევდა), მაგრამ იმდღევანდელი უეცარი შეხვედრა რომ კეთილი და ფეხბედნიერი გამოდგა, ეს უკვე უდავოა და შედეგებიც ადასტურებს. ალბათ მისი ნიჭი დაინახა იმ დღეს სწორედ რეზო ჩხეიძემ და შეუმცდარად, გამჭრიახი თვალით განჭვრიტა გოგონას მომავალიც. მერე მართლაც ყველაფერი კარგად აეწყო. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ მარინე ჯანაშია გამოჩენილი პედაგოგისა და რეჟისორის მიხეილ თუმანიშვილის მოწაფე გახდა. იქაც იპოვნეს, შენიშნეს და გამოაჩინეს, ამიტომაც პირველი კურსის სტუდენტი სერგო ზაქარიაძის გვერდით თამაშობდა ანუის „ანტიგონეში“.

ბევრს ალბათ ახლაც ახსოვს ის პირველი როლი — პატარა, კაფანდარა, ჩუმი და დიდრონთვალება პაჟისა, რომლითაც პირველად გაიცნო მარინე მაყურებელმა. მსახიობს კი ახლაც არ განელებია ის შიში, თრთოლვა და მუხლების კანკალი, სცენაზე პირველად გასვლისას რომ განიცდიდა. სერგო ზაქარიაძის ლეგენდარული ხელოვნება ხომ მთელი სკოლა იყო მისთვის, ისევე როგორც მიხეილ თუმანიშვილთან სწავლა და მუშაობა.

პირველ წარმატებულ ცდას სტუდენტობაშივე მოჰყვა სხვა როლები სპექტაკლებში „თოლიასა“, „ხიდსა“ და „ბერნარდა ალბას სახლში“. და ეს იყო ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იმ რთული და პასუხსაგები როლისათვის, რაც მას ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მისცეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში — შექსპირის ჯულიეტა, რომელსაც, ერთი დიდი და გამორჩეული თვისება — შინაგანი გულწრფელობა ჰქონდა უხვად მომადლებული.

ფსიქოლოგიური დატვირთვით თითქოს ჯულიეტას როლს უტოლდებოდა რუსთაველის თეატრში მსახიობის მეორე ნამუშევარი — გოგონას უსიტყვო სიმბოლური სახე (შ. დადიანის „გუშინდელნი“). ამ როლს სახელიც კი არ გააჩნდა, სამაგიეროდ სამახსოვრო იყო კიკინებიანი გოგონა, რომელსაც მხოლოდ კანფეტი თუ გამოიტყუებდა მაგიდის ქვეშ შეგულებული სამალავიდან, მერე კი მარინე ჯანაშიამ მთავარი როლი შეასრულა სპექტაკლ „ქალის ტვირთში“.

მისი ქეთევან ახატნელი ბავშვურად ჭირვეულიც იყო, ქალურად კოპწიაც და ამაყიც, ამიტომაც ვერ იპოვა გზა და ადგილი. როლები ბევრია და ყველა მათგანს საკუთარი სისხლი, სული და არსი გაუნაწილა მსახიობმა. ასე იქმნებოდა სახეები: ეკა (თამაზ ჭილაძის „დავიწყებული ამბავი“), სიცოცხლით სავსე, გაბედული ოთიანა (გოლდონის „მშვენიერი ქართველი ქალი“), რეჰა — ეგზოტიკური ქვეყნის თავნება და ნებიერა ასული სპექტაკლ „ნაცრიან ბრძენში“, სულით ხორცამდე ვაჟკაცნურებული თეა (სატელევიზიო სპექტაკლი „მე შენ მიყვარხარ“).

მარინე ჯანაშია, კინოში, ასე ვთქვათ, მიხეილ ჯავახიშვილმა მიიყვანა. მან დიდი ბუნებრიობით შეასრულა უმწეო, უპატრონო და დაჩაგრული გოგონას ნუცას როლი ჯავახიშვილის მოთხრობების მიხედვით გადაღებულ ფილმში.

ამის შემდეგ მსახიობი ერთბაშად „გაუშინაურდა“ ქართულ კინემატოგრაფს. სამახსოვროა მის მიერ შექმნილი პროვინცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელი გოგონას კოლორიტული სახე, რომელიც განუმეორებელი იუმორითა და შინაგანი ლირიზმით წარმოსახა მსახიობმა (ფილმი „დილის ნისლივით“). ამ სახეს სიცოცხლესა და ფერადოვნებას ანიჭებს დამახასიათებელი ინტონაცია — „მამას დოუძახო?“, ამას მოჰყვა როლი — ახალგაზრდა რეჟისორის ლიანა ელიავას ახალ ფილმ— „გზის დასაწყისში“, ქალბატონი ანიკო — სიკო და ქეთი დოლიძეების ფილმ „კუკარაჩაში“, მარიამი — „მარადისობის კანონში“ და სხვა.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მარინეს მიერ შექმნილი სიდონია (სატელევიზიო სპექტაკლი „თეთრი კურდღელი“. რეჟისორი თემურ ჩხეიძე). დაუვიწყარ ეფექტს ახდენს მსახიობის შეშფოთებული მზერა, არეული თვალები, თრთოლვისაგან დაკრუნჩხული თითები, უსასოო, გაუბედავად გამკრთალი ღიმილი — შვილის უნებლიე მკვლელის შეძრწუნებული სახე, დანაშაულის სიმძიმის შეგრძნებით დამფრთხალი, მოღალატე ცოლის სინდისის ქენჯნით სავსე ქალის დიდი და გულწრფელი სულიერი წამება. ეს როლი, მართლაც, მარინე ჯანაშიას მორიგ შემოქმედებით გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს...

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მარინე ჯანაშია ამ რამდენიმე ხნის წინათ მარჯანიშვილის თეატრის სახელოვანი დასის წევრი გახდა. და მან დეზდემონას როლი განასახიერა შექსპირის „ოტელოში“. მისი დეზდემონა ერთგული, რომანტიკული, სათნო, მაგრამ სულით ძლიერი, გაბედული და მტკიცე ნების ქალია, რომლის ერთადერთი ცოდვა და ბრალი მეუღლისადმი უანგარო სიყვარულია...

ჯერაც არ დამცხრალა სჯა-ბაასი და აზრთა სხვადასხვაობა „ოტელოს“ ახალი დადგმის გარშემო, სცენაზე, მაყურებლით გაჭედილი დარბაზის წინაშე ისე პირნათლად დგება სანთელივით მოკიაფე სპეტაკი დეზდემონა — ბოროტების უდანაშაულო მსხვერპლი. შინ კი, მსახიობის ბინაში ჩვეული ხალხმრავლობაა. ელოდებიან ახლობელი, საყვარელი ადამიანები — მისი პირუთვნელი შემფასებლები. მსახიობიც ოჯახში მისვლისთანავე გარდაიქმნება მხიარულ, ფუსფუსა და ბედნიერ დედად, ხელმარჯვე, სტუმართმოყვარე დიასახლისად. მას ჩვეული ხალისით ეგებებიან შვილები: მხატვრობით სერიოზულად გატაცებული 14 წლის ბექა და ოთხი წლის თემო.

აი, ასეთი მრავალფეროვანია ყოველი დღე მარინე ჯანაშიას ოჯახში, რომელსაც პოეტურ ელფერს ჰმატებს მისი მეუღლის— თემო გოცაძის ხელით მაღალნიჭიერად და გემოვნებით შესრულებული სურათები — ხელოვანის სამყარო...

სცენაზე კი სულ სხვაა. იქ ყველაფერი თავიდან იწყება: ღელვაც, მოლოდინიც, შიშიც, განცდაც, სიყვარულიც. წარმატებაც. და სწორედ ეს არის მსახიობის ბედნიერება.

ირინე კუკავა



„ქალის ტვირთი“ — ქეთევან ახატნელი



„რომეო და ჯულიეტა“ — ჯულიეტა

კინოფილმი „კუკარაჩა“ — ანიკო



# თამარა ბაბო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ნანი შალიკაშვილი



— აი, ტა, ტა, ტა, ტა! სად არი ჩემი კულანდებური ჯანი, რომ მე თვითონ არ დავხეთქო ეგ ტიალი?! ხმელი რას მიქვია და ნედლი, ჯანი იმისა, რომ ყველაფერს მოერიოს! — ყველას გასაგონად ეუბნებოდა თამარა ბაბო შვილიშვილის ამხანაგს, როცა ხილაბანდით უხვევდა შვილიშვილს შეშის დაპობაში გაპობილ შუბლს.

ოთხმოცს გადაცილებული, ქმრის დამმარხავი მაინც არა შაოსნობს თავისი თხელი, გაბაცებული ლურჯი პალტოთი, თეთრწინწკლება მოსახვევით, სრულად რომ არ უფარავს თეთრ თმას — თუმცა წინდები და წვეტიანი კალოშები შავები აქვს.

ოპტიკის წყალობითა ხედავს; დიდშუშება სათვალეში აღარ გაერჩევა მოფართხალე, ნაოპერაციები თვალების ფერი. ერთხელ კინაღამ ამოიტირა, როცა მოიგონა: — ადრეულ შემოდგომით, საღამოთი, დაბალბალბიანი ეზოდან როგორ გასცქეროდა მშობელი ველის დამტოვებელ, აკრიახებული მინდვრის ბატების ტრიალა წრეებს. ანდა, მზეშენთებულ ღრუბლებს დაღერებული წეროების ლეგა მწკრივს... ვინ იცის, სადამდე მიყოლებია თვალიო...

თავის აწევისას ტყავჩაშვებულ ნიკაპიდან ძარღვები ერკალება ლავიწამდის, ტანდაპატარავებული, ბეჭებში ცოტა მოხრილი მიწის მიზიდვას მობოშებულ ხელში დაჭერილი ჯოხით ეურჩება.

— ეხ, ბაბო, ბაბო! კინაღამ კი გამაშეშა ამ შენმა შეშამ და, რაც გინდა ისა თქვი ახლა! — ხალისი დაიბრუნა უკვე ხილაბანდწაკრულ შუბლზე ჯერ ისევ ხელმიფარებულმა შვილიშვილმა. მასვე შეაპარა: მგონი ერთი-ორი ჭიქის დალევა მაინც შეიძლებაო.

შეშფოთებაშერჩენილი მზერით და ჩუმი ხმით ამხანაგმა თქვა, მოდი თავი შევიკავოთო, რომ თამარა ბაბომ წაუომახიანა: შემისა რა ბრალია, შენ რო სწორედ ვერ დაჰკრა ეს ოხერიო, ინჟინერი ვარო,

რო გაიძახი, დიდის ლაპარაკი რატო არ გესმისო; ვეუბნები, შვილო, ხმელია ეს ტიალი, ნელა დაარტყი ხოლმე-მეთქი. ამას კიდე, რაც ძალი და ღონე აქვს, გაუდის ხათქანი! მანდ რა გაქვს ერთი, ღვინომ რა უნდა გიყოსო, ემაგრე იცი ჩემი ღვინოო?! ადით, ადით მაღლა, ყველაფერი გამზადებულია, მეც აი, შემას შევზიდავ და ამოვალო. — ნამდვილად კი ამასაც გუნება გაუფუჭდა და პატარა გარიდებოდა უნდოდა, ამათ; თორე თვითონ აუძლვებოდათ სიხარულის გამლაღებელი ძველი ადათების მქონე...

ობლობაში გაზრდილ, საკაცო საქმეებს ბავშვობიდანვე მიჩვეულ თამარა ბაბოს ვენახის მოვლა და ღვინის დაყენებაც კარგად ეხერხებოდა. შვილიშვილები, მართალია, ხუმრობდნენ მისი სიტყვებით — „ეს ოხერი, ხელს რო მაატარებ, როგო დალაზათიანდება ხოლმეო; შამადგომაზევე უნდა გავსხლა, მა გაზაფხულზე ტირილით ხო არ მოვკლავო“ და მრავალი ამნაირით, მაგრამ თავისთვის რომ დაფიქრდებოდნენ, ჭკუაში უჯდებოდათ.

მეზობლები ხშირად გადმოდიოდნენ ცალად დარჩენილ თამარასთან კუნახში და უქებდნენ სათითაოდ ნაგურგულები მრუდე ვაზების მსხმოიარობას, ან გულით სწუხდნენ მათ მზით დამწვრობასა თუ ნასეტყვარობას.

შექეიფიანებისას შვილი სულ იმას აყვედრიდა: მამაჩემი შენ მოჰკალიო, აუტყდებოდი ვინდა თუ არა, ღვანო უნდა გადავაღოთო, სულ ამ გადაღებასა და ქეიფში იყავით და ამდენმა სმამ მაიდნო კაციო, — მაგრამ თამარა ბაბო ახლაც იმას ამტკიცებდა, რომ, ღვინო თუ გინდა შაინახო, სულ მოძრაობაში უნდა ამყოფოო...

ახლა სწორედ ასეთნაირად ნამყოფი რქაწითელის ცოფიანი, უმოკლესი ბილიკებით მიუძღვებოდა მხიარულებისაკენ უკვე სიმწარეგადავიწყებულ ბიჭებს. და, თავისი პატარა ჭიქით, მათ არც გვიანშემოერთებული თამარა ბაბო ჩამორჩებოდა ამ გზაზე. ერთხელაც რომ გამოცალა, ჩაილაპარაკა: ჯანი გავარდეს, საცა წვრილია, იქ გაწყდესო, ეხლანდელებს რო ვუყურო — აი, ეს მტკივა-და, აი ეს არ მეჭმება-და... თქვე კაი ხალხო თუ ცოცხლები ხართ, ან აგტკივდებათ რამე და ან დაგიამდებათ — ადამიანმა კი, სადამ სული უდგას, არაფერი უნდა მაიკლოსო.

— ბაბო, ერთი ისა თქვი, წითლიძეს როგორ გაუსწარი მაშინ!

— ჰო, როდინდელი მომაგონე, შენ რა გითხრა. კოლექტივი რომ შემოიღეს, მაშინდელი ამბავია... კარგი, ბამბიდან მოვდივართ — იმ დროს ბამბა დათესეს და ქალები იქ დავდიოდით, — ჰო, სხვა ქალები ფეხით მოდიან, მე ჩვენი ცხენი მყავდა და იმაზე ვიჯექი; სად იყო და წამოგვეწია მაშინ ერთი ქალაქიდან ჩამოსული დიდი კაცი, წითლიძეო — იძახოდნენ. ისიც ცხენით იყო. აბა შეგვეკითხა — ქალებო, როგორა ხართ, როგორ მიდის საქმეო. ხო არაფერი გიჭირთო; რა ვიცი, ქალებმა ზოგმა რა უპასუხეს, ზოგმა რა და ახლა მე შემომხედა — არ გეშინია, ცხენმა გადმოგაგდოსო? — მე ცოტა გავბრაზდი და ვუთხარი, მოდი, თუ გინდა გავაჯიბროთ-მეთქი. იმას გაეცინა, მაგრამ ქალებმაც რომ დაუწყეს — აბა, მიდი შეეჯიბრეო, მითხრა — აბა მოდიო! დავაყენეთ ცხენები — უცბათ ჰკრა მათრახი თავისას და გავარდა; მე არც მათრახი, არც არაფერი! იმ ჩემმა ცხენმა, დალოცვილმა თავისით თუ გაიგო, ერთი შედგა ყალყზე და მემრე გაიჭიმა.. ჯერ იყო წამოვეწიე და ცოტა ხნის შემდეგ რო მოვიხედე, ვეღარც დავინახე... მივიყვანე შინ ცხენი, ცოტა გავატარ-გამოვატარე, მემრე დავაბი და დავუყარე ქერი. მოვიდა საღამოს ქმარი და სიცილით მითხრა — ეს რა გიქნია იმ ქალაქელისათვის, გამგეობაში მოვიდა გახვითქული, იძახოდა, იმ ალქაჯს ვის გადავეყარეო, კაცო, ცხენი გამიჯიბრა და ისე გაფრინდა— თვალიდანაც დავკარგეო...

— ეეჰ, შვილო, როგორ მიყვარდა ყმაწვილქალობაში ცხენის თამაში!.. ხანდისხან წყლიდან წამოსულს შოლტი რომ გადამიწუწნია პატარა ბიჭებისთვის ერთმანეთს აშინებდნენ — მოიდა, თამარა მოდისო!

— საწყალი ჩემი ქმარი კიდე ხო მთლად ცხენების გიჟი იყო; რამდენჯერ ყოფილა, მოსაღამოებისას ამ ბიბინა ველზე ჭენება-ქროლებით ალაზანს მისულებს შინ მთვარე-ვარსკვლავის სინათლითღა მოგვიტანებია. აკი ცხენთან ერთად წავიდა კიდეც უბედური ამ ქვეყნიდან... როგორ და ღამე მომავალს რაღაცამ დაუფრთხინა საწყალი და კლდეში გადავარდა ორივე. ეჰ, ის იყო...

შვილიშვილი ადგა და შინა ოთახიდან თამარა ბაბოს ადრეხანობაში ნაყიდი, ნახევრად სათამაშო, აქერქილ-გაცვეთილი პატარა გარმონი გამოალმუვლა. დაჯდა და სტუმარს მოხუმარე ირონიულობა თანდათან დაკვირვებით, გაკვირვებითა და ბოლოს გატაცებითაც კი შეეცვალა — კლავიატურას გაგზნებულმა თითებმა ცქაფად მოქანავე გარმონს ისე მშვენიერი ხმები რომ გამოალებინეს.

თამარა ბაბომ მღერაააყოლა, იმღერა თავიდან ბოლომდის. შევამჩნიეთ, როგორ მოადგა ცრემლი სიტყვებზე: „შენ რაღამ დაგარჩინაო“...

მღერისას ის შეიძლება წარმოგედგინათ სუსტი ხმით მოყივარ, ფრთებჩაშვებულ ბებერ არწივად, ძველი დროიდან რომ გადმოფრენილიყო...

— დაუკარ! არა უშავს, გავატიალებ; ამ შამადგომაზე თუ სიკეთით ჩავიკელ ვენახი, ნამდვილ აკარდიონსაც ვიყიდიო!...

— მოდი, თამარა ბაბოს გაუმარჯოს!..

— იცოცხლოს, გაუმარჯოს!..

დ. სოზაშვილი

# 553. 512 ტონა ჩაი

## გამარჯვებას ვულოცავთ მეჩაიეებს!

ეროვნული

ჩაის ძირითადად ქალები კრეფენ. კიდევ უნდა ითქვას ქალთა სადიდებელი! წლეულსაც, როგორც ყოველთვის, საქართველოს მეჩაიე ქალებმა ჩაის ზრდისა და კრეფისათვის არახელსაყრელი ამინდის პირობებში მიზანს მიაღწიეს — მოკრიფეს 553.512 ტონა ჩაის ფოთოლი და გადაჭარბებით შეასრულეს გეგმაც და ვალდებულებაც.

რამდენი ოფლი დაიღვარა ჭილის ქუდების ქვეშ, რამდენ ოჯახს მოაკლდა დედის ან მეუღლის ყურადღება და რამდენი ქორწილი გადაიდო სწორედ ამ დროისთვის, მოსავლის დაბინავების დღეებისათვის, მოსავლის ზეიმისათვის!

და ახლა კვლავ მწყობრში დგებიან ქალები, გაისისათვის იწყებენ ბუჩქების მომზადებას, ისევ გაანებივრებენ ყურადღებით შინაურს და ახლობელს, ისევ იფიქრებენ გათხოვებაზე, შვილების მომრავლებაზე, ისევ დაკრეფენ ტონებს და კვლავ პირნათელი იქნებიან მშობლიურ ქვეყანასთან.

# ვულოცავთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნინო თოფჩიშვილი

დაბადების სამოცი წელი შეუსრულდა მწერალთა კავშირის წევრს, მთარგმნელსა და ქართული მწერლობის კეთილ მეგობარს — ნინო თოფჩიშვილს. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ გულთბილი მილოცვა გაუგზავნა იუბილარს, აღნიშნა, რომ ნინო თოფჩიშვილი ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც საქართველოს მწერალთა კავშირის აპარატში მუშაობს სხვადასხვა თანამდებობაზე და საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებაც სამართლიანად მიენიჭა.

ნინო თოფჩიშვილის პასუხისმგებლობითა და გემოვნებით შესრულებულ თარგმანებს კარგად იცნობს მკითხველი: მან ქართული საყმაწვილო ლიტერატურა მოძმე ერების ნაწარმოებთა ნიმუშებით გაამდიდრა. მ. პრიშვინის, ი. ტაიცის, თ. ეფხითის, ხ. ნაზირის, ზ. ვოსკრესენსკის, ა. ვოინოვის და სხვათა ნაწარმოებების თარგმნა-გადმოქართულებას ნინო თოფჩიშვილის მზრუნველი ხელი ატყვია.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია გულთბილად ულოცავს ნინო თოფჩიშვილს ამ თარიღსა და კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭებას, უსურვებს ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებითს გამარჯვებებს.



## ცირა ქიტიაშვილი

ცირა ქიტიაშვილს კარგად იცნობს ჩვენი ნორჩი მკითხველი. მისი საბავშვო ლექსების კრებულები: „კუნწულა“, „ბუდეშურის აკიდო“, „მზის კაცები“, „ბიჭობა განა ღონეა“ და „წერილები სიმღერეთიდან“ გულით შეიყვარეს ბავშვებმა. ისინი ყოველთვის სიამოვნებითასრულებენ ცირა ქიტიაშვილის ლექსებზე დაწერილ, ქართველ კომპოზიტორთა სიმღერებს; ცირა ქიტიაშვილი უყვართ მათაც, ვისაც თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულ თეატრში უხილავს იგი მრავალ როლში. უყვარს მათაც, ვინაც სასცენო მეტყველებასა და მხატვრულ კითხვას ეუფლება საესტრადო და საცირკო ხელოვნების სასწავლებელში, უყვარს მათაც, ვისაც ფილარმონიის სცენაზე უხილავს ცირა ქიტიაშვილის მიერ, ჩვეული მონდომებითა და გემოვნებით დადგმული ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საღამოები... და ეს სიყვარული განსაკუთრებით გამოიხატა გამომცემლობა „ნაკადულის“ საბავშვო წიგნის სახლში, პოეტის დაბადების 50 წლისთავთან აღსანიშნავად გამართულ საღამოზე. მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციამ, ამ თარიღთან დაკავშირებით, ცირა ქიტიაშვილი ი. გოგებაშვილის მედლით დააჯილდოვა. ეს პატივისცემა და სიყვარული პოეტმა ქალმა სრულიად სამართლიანად დაიმსახურა. მისი ლექსები ყველას ხიბლავს გულწრფელი სისადავითა და თემის ორიგინალობით.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგია და თანამშრომლები ვულოცავთ ცირა ქიტიაშვილს დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს და მივმართავთ მისივე სტრიქონებით: „და მეც ავჩქარდი, ასე პაწია, შრომამ მდინარედ გადამაქცია!“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთვარისა კერესელიძე

* * *

აპრილის ქარში, ყვავილთა მარშით,
მისდევდა მხარში ლამაზი ცოლი,
სიკვდილით ჩქარით, ძალით, ო, ძალით,
გაფრინდა ქარში, როგორც ფოთოლი.
გადამტვრეული მწვანე რტოებით,
გაფრინდა ქარში განმარტოებით...
ვით გარდასული უცხო ზმანება,
ო, რანაირად მე მენანება,
ადრე ჩამქრალი შინდის მშვენება,
თორემ ზამთარში ისედაც მოთოვს,
რა ეშველება, რა ეშველება,
აპრილის ქარში მოწყვეტილ ფოთოლს.

* * *

სულ მუდამ კრძალვით, სულ მუდამ რიდით
ო, იდუმალო როდის, ო, როდის...
თუკი ყველა გზა რომისკენ მიდის,
შენი ყველა გზა ჩემსკენ რად მოდის?!
ეს სიტყვას მოჰყვა, თორემ თავნება,
გზები მე ვიცი საითაც ივლის,
თუ გადავურჩი ხვატიან ივლისს
ეს გადარჩენაც დამენანება.
რა ვუყოთ გულში ატეხილ ივლისს,
ან ოცნებების უსაზღვრო თოვას.
შენი ყველა გზა სულ ჩემსკენ ივლის,
მაგრამ ჩემამდე მაინც არ მოვა.

## სიზმარი

დამესიზმრა, ტკაცანით
ცა იწვოდა ბრიალა,
და კოშკები ცათანი
დაბლა ტრიალ-ტრიალით
ეცემოდა. თავშალი, —
ოქროს სირმებიანი
მოქარგული, გავშალე, —
დღე გათენდა მზიანი.
შენს მზეს ფარად ვეფარე,
შენს ცახეებს ვეფარე,
ცხრა გველეშაპს, ცხრათავას
კერაგზის გამოვეპარე,
ცხრა აკვანი გირწიე,
ცხრა წყაროსთან ვმღეროდი,
ირმის ჯოგი მიწიერ
გიმრავლე და... გშველოდი.
დატრიალდა სატანა,
შენ მზე იყავ, მე — მთვარე...
მერე, ასე პატარა,
შენს მხრებს ამოვეფარე.
მკერდით გადამეფარე,
დაყოვნება გაჭირდა,
ყვავ-ყორნები მუეფარე
გესეოდნენ. არწივთა
ფრთები გახსენ... და, როცა
მიმაფრენდი ცათანი,
გამეღვიძა საოცარ
სიხარულით ატანილს.

## დედას

ია მოსულა, გაზაფხული მოსულა, დედა,
ია მოსულა, მოფრენილან შორით მგოსნები,
იმ პირვანდელი სილურჯით და პატიოსნებით
ია მოსულა, გაზაფხული მოსულა დედა.
თეთრი შროშნები მინდორ-მინდორ გზის პირას სხედან,
გზა ყვავილობას აუკლია, გამოდი გარეთ,
ეს მერამდენე გაზაფხული ჩამოვითვალე,
ია მოსულა, შენ კი, მითხარ, სადა ხარ ნეტავ?
თუ არ მოდიხარ საით ქრიან შენი ქარები,
ან ია-ია რად მიყურებს შენი თვალებით,
მარად ამაყი, მარად სირცხვილმიუკარები,
შეხედე, ჭაზე გამოსულან სოფლის ქალები.
შენს ეზო-კარს კი უნუგეშო ბოქლომი ადევს,
თუმც ეზო-კუთხეს ავი თვალი არ ეკარება!
მიწის საბანი გადაიხადე,
და შენც გამოდი, შენც გამოდი სოფლის ქალებთან.
ია მოსულა, სასოებით შევყურებ იას,
ვის მივუტანო შენი წილი ია, ყაყაჩო,
ამ გაზაფხულზე ლამის არის ცრემლმა დამახრჩოს,
და ვისმენ, ვისმენ სასაფლაოს ჩუმ მელოდიას,
. . .
ია მოსულა, გაზაფხული მოსულა დედა.

* * *

ნუშების ახლოს
ნუშების ახლოს
ნუშების ახლოს
დგახ ერთი სახლი
ნეტავ ვინ სახლობს,
ნეტავ ვინ სახლობს,
ნეტავ ვინ სახლობს,
რა თავებს ვახლით?!
ნუშების ახლოს,
ნუშების ახლოს,
ნუშების ახლოს,
მშვიდად დგას სახლი

* * *

რატომ ვერ ვტოვებ ალუბლის რტოებს,
ან ასე რისთვის მითრთის ხელები
რად ვეფერები მინდვრის ყვავილებს,
რად ვეფერები?
რად ვეფერები ქარებს თელების,
ან იის მოსვლა რად მიხარია.

რისი ბრალია ეს სიმღერები,
რისი ბრალია?
ან გამხმარი ხე რად მეცოდება,
რად დამდევს სუნთქვა ვრცელი ველების,
რად ვეფერები იასამნის რტოს,
რად ვეფერები?

# სავანე



მხატვარი ცინარა ტერელაძე

> ოჯახური ცხოვრების მთავარი აზრი და მიზანია ბავშვების აღზრდა. ბავშვების აღზრდის მთავარი სკოლაა ცოლ-ქმრის, დედ-მამის ურთიერთობა.
>
> ვ. ა. სუხომლინსკი

ვახტანგი დილით ადრე ადგა. საათს დახედა. ისარი შვიდს უახლოვდებოდა. მძიმედ გადადგა ნაბიჯი. წამლის ყუთში ადელფანი მოძებნა. მგონი წნევამ ამიწიაო — თავისთვის ჩაილაპარაკა და ამოიოხრა. წუთით სკამზე ჩამოჯდა. კედელს მიაპყრო მზერა. ცირას სახება ღიმილს აფრქვევდა. რა ხანია ამ ჭერქვეშ ღამე არ გაუთევია, რა ხანია გაიყარა მისი და ცირას გზები. მთლემარე კედლებში სიცარიელე იგრძნო. ბინაში მხოლოდ დადარდიანებული მოხუცი მშობლები ფეხაკრებით დააბოტებდნენ, მიმტევებელნი შვილის დანაშაულისა...

კიბეები ჩათვალა. ავტობუსის გაჩერებასთან შეანელა ნაბიჯი. პირველ ნომერს დაელოდა. ისიც მალე გამოჩნდა. საფეხურზე ფეხი შედგა. მგზავრებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ავტობუსის სარკმლიდან სახლებისა და ქუჩების მიღმა მიეპყრო მზერა.

ეზოში შეიარა. შემოდგომის ბარაქა მთებივით აღმართულიყო. ჰაერში ხილის დამწვარ ტკბილი სურნელი ტრიალებდა. ხელში დატვირთულმა ნაბიჯს აუჩქარა. ნაცრისფერი შენობის კარს მიადგა. კარისკაცმა ეზოში შეუშვა. ხალხი ბუზივით ირეოდა, სულის შემხუთველი ეჩვენა გარემო.

დიასამიძე! — მოესმა ხმა და უმალ კედელთან ახლოს მავთულის ბადურასთან მიიჭრა. ნახვის დღეს პატიმრები გამოჰყავდათ. ბადურას ხელით შეეხო. თითები სივრცეში თითქოს რაღაცას უხმობდნენ, დაეძებდნენ, დაეძებდნენ კი არა, უაზროდ მოძრაობდნენ და საკუთარი გულის ფეთქვა მონოტონურად ესმოდა. წუთით თვალთ დაუბნელდა. შემდეგ ძალა მოიკრიბა და თავის წინ ორი სილუეტი გაარჩია. ორი ვაჟიშვილი — გიორგი და ზურაბი მავთულის მიღმა იდგნენ, სევდანარევი ღიმილით შეჰყურებდნენ. მცირე მანძილი აშორებდათ ერთმანეთს, მაგრამ თავისუფლების აღმკვეთი კედელი აღმართულიყო მამასა და შვილებს შორის.

ვახტანგი შეირხა. თავდაპირველად ხმის ამოღება ვერ შესძლო. ორ პატიმარ შვილს ნირწართმეული უმზერდა. — დედა ჯანმრთელად თუ არისო, რიდით წამოიწყო გიორგიმ — შვილებო, თქვენ როგორ ხართო,— კითხვა ბანზე აუგდო მამამ. თითქოს სალაპარაკო შემოელიათო, საუბარს ვერ აბამდნენ. და მაინც იდგნენ ბადურის ერთ მხარეს ვაჟიშვილები, მეორე მხარეს — მამა და მათ თვალებში საყვედურის ძლიერი გრძნობა და დაღლილი სევდა ირეკლებოდა.

— აქ დიდხანს დაგვტოვებენ? — იკითხა ზურაბმა.

— ვნახოთ რა გამოვა, სასამართლო გადაწყვეტს, — უთხრა მამამ.

შეხვედრის დრო იწურებოდა. საათი ზომავდა წუთებს, გულჩათხრობილები დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

ვახტანგს სიმძიმით ემძიმებოდა სიმდვილე. ფიქრდაწრეტილი გასცდა ციხის ნაცრისფერ კედლებს. ჩრდილდაფენილ ბილიკებს გაუყვა და თვალსაწიერით წარსული ალიცლიცდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, დაუკავშირებელი ხილვები გაუჩნდა, შემორჩენილი ხსოვნად გულისა.

...მაშინ საქორწინო მოგზაურობიდან დაბრუნდნენ. რკინიგზის სადგურის ბაქანზე მოსკოვის მატარებელი ჩამოდგა. სამოგზაუროდ წასულ ნეფე-დედოფალს ახლობლები, მეგობრები შეეგებნენ, ყვავილებში ჩაძირეს ახლადდაქორწინებულნი. ვახტანგსა და ცირას ბედნიერების განცდით სახე ეფაკლებოდათ.

ვახტანგი დედისერთა იყო, მაგრამ ნებიერად არ გაუზრდიათ მშობლებს, იმთავითვე შრომას მიაჩვიეს, პროფესორ-მასწავლებლები ნიჭიერ, ბეჯით სტუდენტს კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი წარჩინებით დაასრულა. დიპლომი წარმატებით დაიცვა.

ვახტანგმა და ცირამ ამხანაგის დაბადების დღეზე გაიცნეს ერთმანეთი. ცირას თვალის შუქი და მაიმედებელი ღიმილი ვახტანგს გულს უნათებდა. სახლამდე მიაცილა. დათქვეს და რამდენჯერმე კინოში ერთად წავიდნენ. გულისნადები გაუმხილა ვაჟმა ქალიშვილს და მალე იქორწინეს კიდეც. ვახტანგმა საპროექტო ინსტიტუტში არქიტექტორად დაიწყო მუშაობა. უყვარდა თავისი საქმე. დღენიადაგ ჩაჰკირკიტებდა ნახაზებს. მალე მოიპოვა ავტორიტეტი. თათბირებზე ხშირად იხსენიებდნენ ვახტანგის საზრიან შენიშვნებს, სიახლეების გაბედულ ხედვას. ცირამ უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი დაასრულა და კლინიკური ლაბორატორიის ლაბორანტი გახდა. სიამტკბილობაში მიდიოდა ახალგაზრდული, საოცნებო დღეები.

მალე ბიჭის აკვანი დაირწა. პირველ შვილს მეორეც მოჰყვა და ბედნიერებით ამაღლდა ჭერი. სიყვარული ამკობდა ამ სვებედნიერ ოჯახს.

შვილები იზრდებოდნენ. კვირაობით დედმამა ხელს ჩაჰკიდებდნენ და ბავშვები ჯერ ზოოპარკს ესტუმრებოდნენ, შემდეგ ცირკის სანახაობებით დაიტვირთებოდნენ, ხან თოჯინების თეატრს ეწვეოდნენ. შემდეგ მოზარდთა თეატრშიც გადაინაცვლეს, ფუნიკულიორის ხშირი სტუმრებიც გახდნენ. შთაბეჭდილებებით ავსილნი შეკითხვებით არ ასვენებდნენ მშობლებს.

ბედნიერება ჰაერივით ისუნთქეს, მაგრამ

სავალ გზაზე ნაპრალი გაჩნდა და თანდათან გაღრმავდა. ვახტანგი შინ გვიან ბრუნდებოდა. ეს ერთხანს ჩვეულებრივად მიაჩნდა ცირას. და მართლაც ასე იყო. სამუშაოს სიმრავლე დროს მოითხოვდა და არქიტექტორიც თავს არ ზოგავდა. ცირას უმძიმდა: აქეთ სამსახური, იქით—მცირეწლოვანი ბავშვების მოვლა. დედამთილის ჯანი არ იყო საკმარისი გაზრდილი, წვრილშვილიანი ოჯახისათვის. ცირას ქმრის მორალური მხარდაჭერაც სჭირდებოდა და დღეებიც ნელნელა ფერმკრთალდებოდა.

ლოდინით ღამენათევი ცოლი ვახტანგს მთვლემარე ხვდებოდა. ქმრის ფეხაკრეფილი ნაბიჯები ყურს ჩაესმოდა, არ გამოეპარებოდა, კარის ხმაზე სწრაფად წამოდგებოდა. სევდანარევ ღიმილს შეაგებებდა. ვახშამიც, ჩაიც მზად არისო, ხმადაბლა მოკრძალებით ეტყოდა, შემდეგ შვილებთან გაიყვანდა. ვახტანგი საძილე ოთახის კარის ზღურბლთან შეჩერდებოდა და ორი ბოკვერის სუნთქვას მდუმარედ, ნაბიჯგადაუდგმელად უსმენდა. ბავშვებს შეჰყურებდა და ფიქრებით სადღაც შორს იკარგებოდა. ქმრის უგუნებობა ცოლისთვის შეუმჩნეველი არ რჩებოდა.

ვახტანგმა თანდათან შეიცვალა ხასიათი. ახლა შინ მხოლოდ ღამეს ათევდა. ოჯახის საზრუნავი არ ადარდებდა. მოხუცი მშობლები შესიტყვებას ვერ უბედავდნენ. შვილის აუგი საქციელით დადარდიანდნენ.

დილით ცირა სამზარეულოში ტრიალებდა. უცბად შეკრთა, ბავშვების ჩამიჩუმი არ ისმოდა, ნეტავ სად არიანო და, ოთახში სწრაფად გავიდა. ბიჭები კუთხეში მაგიდას შემოსხდომოდნენ და დედის ნაყიდ „კონსტრუქტორს“ გატაცებით აწყობდნენ. ქმარი ტახტზე გართხმულიყო, ღრმა ფიქრებში წასული, კედლის ერთ წერტილს გარინდებული მისჩერებოდა.

— რა მოგდის ვახტანგ, ცუდად ხომ არა ხარ! — შესძახა ცირამ. ქმარი ცოლის ხმაშ შეაკრთო და უმალ წამოდგა. რას დამჩხავი ქალოო, შეჰყვირა. შენი ზედმეტი ყურადღებით გაწყალდა გული. ყურადღებას სასჯელად ნუ მიხდი, ვახტანგ, — მხოლოდ ეს შებედა ცოლმა, შემობრუნდა და შვილებს დედის ხელებმა მხრები გაუთბო.

ვერ გალღვა ყინული. ვახტანგი სულ უფრო მეტად გაურბოდა ცირასთან საუბარს. ბავშვებიც კი გახდნენ მისთვის ზედმეტნი. დღეები წამებად ექცა უბირი ქმრის შემყურეს. მაგრამ ორი შვილის დედა ხმაამოუღებლად ეზიდებოდა გულაყრილი მეუღლის მძიმე ტვირთს. შვილების აღზრდის დიდი მოვალეობა უფლებას არ აძლევდა აჰყოლოდა ქალურ გრძნობებს, შესჭიდებოდა შესაჭიდ სინამდვილეს და ამით ორმაგად დაესაჯა აღსაზრდელები.

აშკარა იყო სიცივე ჩადგა ცოლქმარს შორის. მიზეზი მესამე იყო, რომელიც ოჯახის ნგრევის მოთავე ხდებოდა.

დრომ ვერ განკურნა მამის ხასიათი. არც მოხუცი მშობლების ღაღადისმა გასჭრა. ცოლის მოთმინებამ და შვილების ალერსმა ვერ შეუტოკა, ვერ გაუმთელა გაწყვეტილი შუბლის ნერვი. უცხო ქალი მათ გულებზე უტიფრად დააბიჯებდა და ოჯახი ხომ დაგინგრიეთო — ქირქილებდა. უკვე წამოზრდილი შვილები ევედრებოდნენ მამას: ჩვენ გვიწამე, ამხანაგებში ნუ მოგვჭრი თავსაო. მაგრამ შვილების ძახილს მამა აინუნშიც არ აგდებდა, თითქოს მის გასაგონად არ იყო ნათქვამი.

გაზაფხული მობრძანდა თბილისში. არემარე იის სურნელით დაიბანგა. ლეგა ღრუბლები აკრეფილიყო და მზე გამჭვირვალე სხივებს მიწას უხვად აფრქვევდა. ვახტანგი უჩვეულო კარგ გუნებაზე ადგა. ბიჭებს მიუალერსა, ჩაიცვით, ქალაქში გაგატაროთო. სიხარულით ცას ეწივნენ ყმაწვილები, ჩანს მამამ ჩვენსკენ პირი იბრუნაო და, ხელოვნების მუზეუმში ხომ წაგვიყვანთო, — თხოვეს. სწრაფად ჩასხდნენ მანქანაში. ძმები უკან, სავარძელზე მოთავსდნენ, მამა კი საჭეს მიუჯდა. მანქანა დაიძრა. ზურაბი უცბად შეირხა. ჩხვლეტა იგრძნო. სავარძლის ზურგს უკან ხელი გააცურა და ღილის ოდენა საგანს შეეხო. თითებით აიღო, ხელისგულზე ჩამოაცურა და თვალთან ახლოს მიიტანა. რა ელვარე ღილიაო, წარმოთქვა. მაგრამ თვალს არ დაუჯერა — ძვირფასი თვლებით მოოჭვილი საყურე იყო. ხელთ ჰქონდა ქალის მოკიაფე სამკაული, მათს სამფლობელოში ქურდულად შემოპარული. იგი მათი დედისა არ იყო. ბიჭები აენთნენ. ერთხანს მდუმარედ გამჭვალავი თვალით უცქერდნენ, თითქოს ბომბი ფეთქდებოდა მათს თითებში. მანქანა კი თბილისის ქუჩებში თავაწყვეტილი მიჰქროდა. მამა არხეინად იჯდა. მძლავრი ხელები უდარდელად ამოძრავებდნენ საჭეს და სულ არ ანაღვლებდა, მის ზურგს უკან მსხდომი ყმაწვილები როგორ ითანგებოდნენ. ბრალდება — ქალის საყურე შვილის ხელზე ელვარებდა, საყურე მეწამულ ისრებს ისროდა.

მანქანა შეჩერდა. მივედითო და, ვახტანგმა ბიჭებისკენ მოიხედა. მოიხედა და შედგა. შვილების გაალმასებული სახეები შეეგება. რა მოსვლიათო, გაიოცა. — გრცხვენოდეს, თავს რად გვჭრიო, შესძახეს ორივემ. — ვისია ეს?! და ზურაბმა საყურე სახესთან ახლოს მიუტანა მშობელს. მამა მოულოდნელობით შეკრთა, მაგრამ არ დაიბნა. მან საყურეს ხელი დასტაცა და უმალ ჯიბისკენ გააქანა. შვილებმა მანქანა დატოვეს. გაავებულმა მამამ შვებით ამოისუნთქა და თავისი გზა სწრაფად განაგრძო.

შვილებმა დედას არ უთხრეს სათქმელი. თავისი დარდი ეყოფა საბრალოს, შხამს შხამი რად მივუმატოთო. იმ დღიდან მამა შინ არ დაბრუნებულა. ამბავიც არ უკითხავს ცოლშვილისა.

დიდი ნებიერა იყო ლიანა — პროფესიით არქიტექტორი. ვახტანგთან ერთად მუშაობდა „საპროექტოში“ და თვალი დაადგა, მოსწონდა ცოლშვილიანი კაცი. მოხერხებულად იქცეოდა. შემპარავად თვალთმაქცობდა. ოღონდაც კაცის გული მოეგო და თავს არ ზოგავდა, აინუნშიაც არ აგდებდა ვახტანგის ორ შვილს, ქმრის ტრფიალ ერთგულ ცოლს, კაცი თანდათან გაეხვია სიყვარულის ბადეში და საწადელს მიაღწია. დროთა სვლაში დაინგრა ოჯახი. ცირას ქანცგამოლეულ სუსტ მხრებს ორმაგად დააწვა შვილების აღზრდის მძიმე ტვირთი.

დადარდიანდნენ ძმები. გარდატეხის ასაკი წონასწორობას უკარგავდა მათ და დაიწყო მასწავლებლების ჩივილი, მშობლების გამოძახებები, გაკვეთილებზე უყურადღებოდ არიან, მოუმზადებელი მოდიანო. მოსწავლის დღიურში გამწკრივდა სამიანები, გაჩნდა ორიანებიც. ორი აღსაზრდელი ყველგან და ყველაფერში სიცივეჩამდგარი მამის ლანდს უმზერდა და ბრაზობდა, ბრაზობდა და ნერვიულობდა. ყურად აღარ იღებდნენ დედის თხოვნას, თქვენ მაინც გამიმართლეთ იმედიო. ათი კლასი ვაივაგლახით დაასრულეს.

ისინი უკვე სრულწლოვანნი იყვნენ...

შინ გული არ უდგებოდათ, ღამით გვიან ბრუნდებოდნენ. დედა დარდისაგან სანთელივით დნებოდა. ძალა არ შესწევდა, შვილებთან ვერაფერს ხდებოდა. ნაბახუსარნი ოჯახში უაზრო აყალმაყალს ტეხდნენ, ახალგაზრდები ნერვებს ვერ იმორჩილებდნენ. იმ დღეს ძმაკაცებთან რესტორანში იქეიფეს. შემდეგ დათვრნენ და წაიკინკლავეს, კინკლავი ჩხუბში გადაზარდეს. დაესივნენ და ბოთლები ჩასცხეს ერთმანეთს, ითქრიალა სისხლმა. ატყდა აურზაური. გამოუძახეს „სასწრაფოს“, მილიციაც გაჩნდა. აირდაირია ყველაფერი, ჭურჭლის ნამსხვრევებით დაიფარა იატაკი. გიორგი და ზურაბი დააპატიმრეს, დამნაშავენი ციხეში ჩასვეს.

ოჯახს შეატყობინეს. ავისმომსმენი დედა უგონოდ დაეცა. როცა თვალი გაახილა, საავადმყოფოს თეთრი კედლები ბუნდოვნად შეიცნო. თეთრხალათიანი ექიმი ავადმყოფის ისტორიას ავსებდა. ინფარქტი. — დასვა დიაგნოზი, — მძიმე მდგომარეობაა, სიცოცხლე საფრთხეშიაო და რეანიმაციის ოთახში გორგოლაჭიანი საკაცით შეიყვანეს. საექიმო პერსონალი ფეხზე იდგა, მაგრამ დაღლილმა გულმა ველარ გაუძლო ახალ განსაცდელს და ცირა გარდაიცვალა.

დილაადრიანად ვახტანგი ციხის ცივ კედელთან მიდის, შეჰყურებს მავთულის ბადურას. მონატრებული სახეების ხილვის მოლოდინშია. ბადურის მიღმა მსჯავრდადებული შვილების სილუეტები აღიმართება. მეორე მხარეს ფერმიხდილი მამა დგას, დგას უთქმელად გარინდებული.

განსასჯელია ბადურის რომელ მხარეს არის ნამდვილი დამნაშავე და ვის მიუძღვის ბრალი.

მკითხველს ნამდვილი ამბავი, ერთი ოჯახის თავგადასავალი მოვუთხრეთ. მხოლოდ სახელები და გვარები შევცვალეთ. ეს შემთხვევა სხვებისათვის მაგალითია იმისა, გაჩენილი ბზარი თუ როგორ ანგრევს კეთილად ნაშენ საუფლოს და ამრუდებს შვილების მომავლის გზასავალს!

ეთერ ჯაფარიძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ვერიკო წერეთელი

## უკვდავი ქალი

ქვეყნად ამისთანა
სიტყვაც არსად თქმულა,
წიგნი, — ალვისტანა
ძეგლად აღმართულა.

გულს არ დატეულა,
მიწას გადმოსულა
და ზედ უკვდავების
იად ამოსულა.

შეხედავს კაცი და
ღიმილს ვერ იცილებს,
აქ ოცდაცამეტი
ვარსკვლავი ციმციმებს.

ვუცქერ საოცრებას,
ცქერა არ მწყინდება,
აქ ოცდაცამეტი
სიცოცხლე ბრწყინდება.

ზარს მისწვდი, ჭაბუკო,
მძლავრად შემოჰკარი,
მძლავრად შემოხსენი
სიბრძნის, ცოდნის კარი;

ზეცას აიტაცე,
მზესთან აიტანე
ჩვენი დედაენა,
ჩვენი სანუკვარი.

მაგ ზარით მოუხმე,
ჩვენს გულს რომ ათელებს,
დიდებს და პატარებს,
მზეჭაბუკ ქართველებს.
ახარე ქვეყანას
როგორ თვალნათელობს,
ჩვენი სათაყვანო
დედა საქართველო,

თამარის მძივივით
ერთ ძაფზე აცმული,
ერეკლეს სიბრძნით და
ფარ-ხმალით დაცული,
ჩვენი დედაენა,
შუქი ჩვენი აზრის,
გზაგზა ყვავილთ ფენა,
ენა ფარნავაზის.

იმ ბრძენ კაცს დიდება,
ასე აზრიანად
ვინც აამზიანა
ხალხის ნაფიქრალი,
ოსტატსაც მადლობა,
ვინც აახუჭუჭურთმა,
ვინც აამეტყველა
ეს ქვა და ფიქალი.

ქვეყნად ამისთანა
სიტყვაც არსად თქმულა,
წიგნი, — ალვისტანა
ძეგლად აღმართულა.

# ზოგი რამ სარძევე ჯირკვლის დაავადებათა პროფილაქტიკისათვის

ქალის სარძევე ჯირკვლის კიბო ავთვისებიან სიმსივნეთა შორის ყველაზე ხშირია საშვილოსნოსა და კუჭის კიბოს შემდეგ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ქალთა სიკვდილიანობის ერთ-ერთი მიზეზი სარძევე ჯირკვლის კიბოა.

დიდიხნის კლინიკურმა და ექსპერიმენტულმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ავთვისებიანი სიმსივნე საღ ქსოვილში იშვიათად ვითარდება. კიბოს განვითარებას წინ უძღვის მთელი რიგი პათოლოგიური პროცესები და დეგენერაციული ცვლილებები. ზოგიერთი ონკოლოგის აზრით თუ კეთილთვისებიანი დაავადება მუდმივად ღიზიანდება და დროულად არ ვმკურნალობთ, მთელი რიგი ენდოგენური მიზეზების ზემოქმედებით შესაძლოა ავთვისებიან სიმსივნედ გადაიქცეს. ამრიგად, თუ კი დროულად მივხედავთ, კიბოს წინარე დაავადებიდან სიმსივნე არ განვითარდება. საჭიროა დროზე გამოვიკვლიოთ ესა თუ ის პათოლოგიური პროცესი, ჩავატაროთ სათანადო მკურნალობა და დავიცვათ ყოველგვარი რეჟიმი, რათა ვეცადოთ რამდენადაც შეიძლება თავი დავიზღვიოთ ავთვისებიანი სიმსივნისაგან.

თუ სარძევე ჯირკვალში რაიმე დისპლაზიური, დისჰორმონალური პროცესები არ მიმდინარეობს, მაშინ ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებისათვის არავითარი პირობები არ არის...

ნათლად რომ წარმოვიდგინოთ სარძევე ჯირკვლის კიბოს წინარე დაავადებანი, სარძევე ჯირკვალში დისჰორმონალური, დისპლაზიური პროცესების განვითარების მიზეზები, გავაკეთოთ მოკლე მიმოხილვა სარძევე ჯირკვლის განვითარების ირგვლივ.

სარძევე ჯირკვლის განვითარება ადამიანის ჩასახვის მომენტიდან იწყება. ექვსკვირიან ნაყოფს უკვე აქვს სარძევე ხაზები. ცხრა კვირის ჩანასახში ეს ხაზები ქრება და რჩება (სარძევე ჯირკვლის განვითარების ადგილზე) ერთი წყვილი — პარალელური გამკვრივება, რის შედეგადაც ვითარდება ჯირკვლოვანი არეები და ფორმდება სარძევე ჯირკვლები. ყველა ჩვენთაგანს შეუმჩნევია, ახალშობილ ბავშვს სარძევე ჯირკვლიდან ხსენის მაგვარი სითხე რომ გამოეყოფა.

საერთოდ, სარძევე ჯირკვლის განვითარება გოგონებს მენსტრუაციის დაწყებამდე — 11-12 წლიდან ეწყებათ. ამ დროისათვის (ზოგჯერ კი 7-8 წლის ასაკში) იწყება სარძევე ჯირკვლის ზრდაც, დვრილისა და დვრილის ირგვლივ კანი მოყავისფრო ხდება.

მენსტრუაციის პერიოდიდან შეიმჩნევა ჯირკვლოვანი წილაკების წარმოშობა, რომელიც ორსულობისა და ლაქტაციის (წოვების) დროს სეკრეტორულ ბუშტულებად გადაიზრდება. სარძევე გზების წილაკებიდან კი წარმოიშობა სადინარები, რომლებიც 12-16 გზის სახით იხსნება სარძევე ჯირკვლის დვრილში. მენსტრუაციის პერიოდში აღინიშ-

ნება შემაერთებელი ქსოვილის გასქელება. შეშუპების პროგრესირება. ორსულობის მეექვსე კვირიდან და განსაკუთრებით მეორე ნახევრიდან იწყება სარძევე ჯირკვლის ზომაში მომატება, რაც ჯირკვლოვანი წილაკების გადაზრდის ხარჯზე ხდება. ას. ამიტომ ორსულობის შეწყვეტა მეტად არასასურველი ნაბიჯი გახლავთ...

სტატისტიკური მონაცემებით სარძევე ჯირკვლის კიბო უფრო მეტად უვითარდებათ გაუთხოვარ და ისეთ ქალებს, რომელთაც არ უმშობიარიათ. ხშირი აბორტები, ლაქტაციის შეწყვეტა ნიადაგს ქმნის სიმსივნის განვითარებისათვის. სამაგიეროდ, ხშირი ორსულობა, მშობიარობა, სრული ლაქტაცია საგრძნობლად ამცირებს სიმსივნის წარმოშობის რისკს. განსაკუთრებით მშობიარობა დიდ დაცვით ოლლა თამაშობს კიბოს წინარე მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად.

სარძევე ჯირკვლის კიბოს წინარე დაავადებად ითვლება: ქრონიკული მასტიტები (ქრონიკული მასტიტების შედეგად სარძევე ჯირკვალში ხშირად რჩება გამკვრივებული უბანი); ტრავმა-დაჟეჟილობა, მჭიდრო ბიუსტგალტერის ტარება, კვანძოვანი ფიბრომა, ფიბროადენომატოზი, ფიბროადენომა (ცისტური და ფიბროზული მასტოპათია) და ა. შ.

საერთოდ საჭიროა, რომ ყველა ქალმა კვირაში ერთხელ ჩაიტაროს თვითგასინჯვა (ამის შესახებ 1982 წლის ჟურნალ „საქართველოს ქალში" დაბეჭდილი იყო დოცენტ ა. კ. მადიჩის სტატია.). თუ გასინჯვისას რაიმე საეჭვო პროცესი შეამჩნიეთ ან ტკივილი იგრძენით სარძევე ჯირკვალში, და ეს ტკივილი სისტემატურად გრძელდება, ან თუ გამონადენი შენიშნეთ დვრილიდან, ხსენის ან სისხლის სახით, მაშინვე სათანადო სამედიცინო დაწესებულებას მიმართეთ, რათა შემჩნეული პათოლოგიური პროცესი დროულად შევამოწმოთ. ამისათვის საჭიროა სპეციალი[illegible] დიაგნოზი. სპეციალური გამოკვლევები: მამოგრაფია, თერმოგრაფია და დროული მკურნალობა.

განსაკუთრებით კარგი და რადიკალური მკურნალობის მეთოდია ნორმალური სქესობრივი ცხოვრება, დროული გათხოვება, ორსულობა, ხშირი მშობიარობა და რაც მთავარია მრავალშვილიანობა!

**რ. ხუჯაძე,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველო მთლიანად მუზეუმია და ჩვენ ამას არ ვიყენებთ.

ივანე ჯავახიშვილი.

# რაჭული სამზარეულო

დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ეს სიტყვები ყოველ ჭეშმარიტ ქართველს მოუწოდებს, არ დავკარგოთ თაობათა მიერ დაგროვილი ის ცოდნა და დიდი ხალხური სიბრძნე, რამაც ჩვენს წარსულსა და მომავალს შორის ყოფის ქართული წესის ხიდი უნდა გასდოს. სხვადასხვა ერის ცხოვრების ყაიდის ამ საყოველთაო დაახლოების საუკუნეში ყოველი ერის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად მეტად ფასეულად გვეჩვენება ქართული ეთნოგრაფიის მიერ მოპოვებული მასალების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობისა და მათი პოპულარობის საქმე, რამეთუ ძველ ქართულ წესებს და ადათებს ადამიანთა ურთიერთობების ქართულ რიტუალებში მრავალი რამ ისეთი მოიპოვება, რაიც ალორძინებისა და ჩვენს ყოველდღიურობაში ფართო გავრცელების ღირსია. საქართველოსთვის დამახასიათებელი მრავალკუთხიანობა, მისი მრავალფეროვნების ეს საწინდარი დაკვირვებულ, მაძიებელ გონებას დღესაც ბევრ აღმოჩენას ჰპირდება; ბევრი რამ არის ერთი კუთხის ყოფასა და ცხოვრების წესში მხოლოდ ამ კუთხისათვის დამახასიათებელი, კერძები იქნება ეს თუ სხვა რამ ჩვევა, რაც სხვა კუთხის ქართველთათვის შეიძლება იმდენადვე უცნობი იყოს, რამდენადაც საინტერესო და გამოსადეგი.

ცნობილია, რომ ყოველი ერის კულტურულ დონეზე მსჯელობისას სხვა მრავალ და მრავალ კომპონენტთა შორის არცთუ უმნიშვნელო ადგილი უჭირავს ამ ერის, ამ ეთნოსის მიერ ხანგრძლივი ეპოქების მანძილზე შემუშავებულ ხალხურ კულინარულ ხელოვნებას.

პროფესორი აბელ კიკვიძე ამ ოციოდე წლის წინათ დაწერილ ერთ წერილში „ეთნოგრაფიული შენიშვნები" გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ბოლო ორი „საუკუნის მანძილზე რაჭაში თანდათან ვრცელდებოდა შემოტანილი „ხელობა" (იგულისხმება კულინარული ხელოვნება), რომელიც უპირისპირდებოდა ადგილობრივ მდიდარ შინამრეწველობას და თანდათან ალარიბებდა მას. ასე ხდებოდა არა მარტო რაჭაში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც". ეს პროცესი, როგორც ჩანს შეუქცევადია და ამ მხრივ არც უნდა გვქონდეს რამ სასაყვედურო ქართველობას, რადგანაც სხვანაირად წარმოუდგენელია რაიმე წინსვლა ნებისმიერ საქმეში. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმის შესახებ, რომ გარედან შემოტანილს ადგილზე დახვედრილ „ხელობათა" სახით, მაპოპულარობის გზით უნდა შეექმნას ის

ნაყოფიერი ნიადაგი, რომელიც პარალელური თანაარსებობის საშუალებას გულისხმობს; ხალხის ცხოვრებაში ასეც ხდება. მაგრამ ძველ, რაჭულ სამზარეულოს მესაიდუმლეთა რიცხვი ბუნებრივად კლებულობს და მალე სავალალო მდგომარეობაც შეიქმნებოდა თუ არა ის ენთუზიასტები, რომელთაც თავისი დიდი წვლილი შეაქვთ ამ საშვილიშვილო და საშურ საქმეში. ონის რაიონის პიონერთა სახლის თანამშრომელი გია ბერიშვილი მათ რიცხვს ეკუთვნის. მისი ხელმძღვანელობით ონელმა მოსწავლემ გოჩა გუგუშვილმა რაჭული სამზარეულოს შესახებ შესანიშნავი მასალები შეაგროვა, დაამუშავა და ამისათვის საქართველოს განათლების სამინისტროს პირველი ხარისხის დიპლომითა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

„რაჭული სამზარეულოსათვის" მარტო ლობიანი და საყოველთაოდ ცნობილი ლორი როდია დამახასიათებელი. რაჭა თავისი ბუნებრივი პირობებით მეტად თავისებურია. აქედან გამომდინარე რაჭველი კაცის ცხოვრების პირობებიც განსაკუთრებული იყო. საუკუნეთა მანძილზე რაჭაში გამომუშავდა მეტად საინტერესო დამოკიდებულება ყველაფერ იმისადმი, რაც ბუნებას შეუძლია საკვებად მიაწოდოს იქ მაცხოვრებელს. ბარიდან მოწყვეტილ რაჭველ კაცს, რომელსაც თავის მიწაზე მოყვანილი სარჩო ნახევარი წელიც არ ჰყოფნიდა, ისევ ბუნებაში ეძებდა ხსნას. ბუნების ნაბოძარით უნდა გაეტანა ოჯახიცა და თავისი თავიც. ალბათ ამის შედეგია, რომ მთის რაჭის ველურ მცენარეთაგან რაჭველებს კერძების დამზადების მრავალი საინტერესო წესი შემორჩათ. ყოველი მცენარისაგან შეიძლება რამდენიმე თავი გემრიელი კერძის მომზადება. მათგან დამზადებული კერძები გემრიელია და ბევრი ვიტამინის შემცველი. ეს კერძები გემოვნების დახვეწა-განვითარების კვალობაზე იქმნებოდა. გემოვნება, ბუნებით მომადლებული ნიჭი და მშვენიერის აღქმის უნარი კი, რაჭველ კაცს არ აკლია. ან კი რა გასაკვირია, ცის ფონზე ჩამწკრივებული დუროიანი (სათოფურიანი) სახლების, ნაზი ჩუქურთმებით დამშვენებული ქართული აივნების, შეუვალი ციხე-სიმაგრეების, ჩოჩიალა რაჭული ურმების, დღეობების, საზეიმო რიტუალების შემქმნელ და დამამკვიდრებელ ხალხს სასტუმრო და სამოყვროც რომ უჩვეულო ჰქონდეს. აკი აქვს კიდეც და არავის უკვირს რაჭული ლორისა თუ ლობიანის, ბაჭულებისა თუ ნიგვზიანების, ცერცვუანისა თუ კვახუანის ან კიდევ მაჭკუნარა (ნაჩირგვალა) სოკოსაგან დამზადებული გემრიელი კერძების და ქადების ნაირსახეობა.

აი, რამდენიმე მაგალითი მთის რაჭის ბუნების მიერ ნაბოძები და რაჭველი დიასახლისების თაობათა მიერ დახვეწილი კერძებისა:

მთის შროშანი რაჭაში ველურად იზრდება. რაჭაში მას თიორშს ეძახიან. იგი მეტად ლამაზი მცენარეა. ზაფხულში ამ მცენარის ღეროფოთოლს გაყვავილებამდე კრეფენ, გალებად წნავენ და ჩრდილში აშრობენ. (გაუხმარი თიორში საჭმელად არ ვარგა). ზამთარში ხმარების წინ თიორშს დაჭრიან წვრილად, შეურევენ ცოტა პურის ფქვილს, მოხარშავენ, შეაზავებენ ტყემლის ტყლაპით, ნივრით და მარილით, ზოგჯერ ნიგვზითაც. მიღებულ კერძს რაჭაში ბულღავას ანუ დაჭრილას ეძახიან. იგი მეტად მდიდარია ვიტამინებით. ბევრი ვიტამინია აგრეთვე მწვადინელათი (მცენარეა) მომზადებულ საჭმელში, რომელსაც „მწვადინელუანს" ეძახიან. მწვადინელა ანუ თეთრყვავილა იკრიფება ყვავილობამდე. მოხარშული მასა იწურება საწურში და იკეპება საკეპელათი გობში. აზავებენ ლორის ქონით და მარილით, ზოგჯერ მას დაუმატებენ ხაჭოს ან ნადუღს და ამგვარად შემზადებულ მასას ცომში ჩაურთავენ და გამოაცხობენ, როგორც ხაჭაპურს. მწვადინელას ზოგჯერ ურევენ დილხამს (დილხამიც მცენარეა) და ღებულობენ გემოთი ოდნავ განსხვავებულ ნამცხვარს, რასაც „ფხლუანს" ეძახიან. არა ნაკლებ გემრიელია სვინტრისაგან მომზადებული კერძი. ფოთლოვან ტყეებში იზრდება შროშანის მონათესავე ეს მცენარე. მის ნაზ ყლორტებს ხარშავენ და ხახვით, ძმრით, ნიგვზითა და მარილით შეზავებულს მიირთმევენ. სვინტრი ხალხურ მედიცინაში გამოიყენებოდა, როგორც ჭრილობების შემხორცებელი საშუალება. აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ ქალაკოდა ანუ გრძელი ფხალი, რომელიც რაჭაში ძალიან პოპულარულია. ქალაკოდა როგორც თიორში, გაზაფხულზე შემოდის. მის ნაზ ღეროფოთლებსაც გალებად წნავენ და საზამთროდ ინახავენ. მომზადების წინ მას დაალბობენ, კარგად გაწურავენ და შეკმაზავენ ნიგვზით, ძმრით, მარილით.

რა ჩამოთვლის ათასნაირ საფურცქვნელებს, რომელთაც რაჭაში საჭმელად გამოიყენებენ!

ყველა რაჭული ხალხური კერძის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. აღვნიშნავთ მათგან კიდევ ორს, სხვებზე მეტად ცნობილებს საქართველოში — ლორსა და ლობიანს.

სპეციალურ, სალობიანე ლობიოს დადგამენ მოსახარშად. როცა გადმოდუღდება, ჩაყრიან საჭმელ სოდას (ძველად ნაცარს ყრიდნენ). ერთიც გადმოდუღდება. გადმოდგამენ ცეცხლიდან და ცივ წყალს შეუდგამენ. ლობიოს კანი მოსცილდება. კანგაცლილ ლობიოს მოხარშავენ. მოხარშულ ლობიოს შეაზელენ ცხიმსა და მარილს, მიღებულ მასას ჩაურთავენ ცომში და გამოაცხობენ. გამომცხვარ ლობიანს თავზე გადაუსვამენ ცხიმს.

ლობიანი ძალიან გემრიელია რაჭულ ლორთან ერთად. ლორის მომზადების წესებს ზედმიწევნით იცავენ რაჭაში. დაკლულ ლორს ჩადებენ ხის გობში (ჭილორში), დაასხამენ მდუღარე წყალს („მდუღარს"). წყალში ყრიან ცოტაოდენ საჭმელ სოდას. მდუღარეგადასხმულს ზემოდან გადააფარებენ ცოტა ხნით ტომარას, რომ ჩაიორთქლოს. შემდეგ გაასუფთავებენ და დადებენ მუცელზე, ფეხებს შეუკეცავენ და იწყება „ზურგის ძვლის ალება". კისრიდან ხერხემლის ჩაყოლებით, ოთხის თითის სიფართეზე თავიდან ბოლომდე გადასერავენ, შემდეგ ლორს ამოატრიალებენ და იწყება „გამოწელვა". ზურგის ძვლის ამოჭრა ხდება შიდა მხრიდან. ორ, გამოყოფილ „ფელიკს" („ფელიკს" უწოდებენ იმას, რაც რჩება ზურგის ძვლის ამოჭრის შემდეგ), ზედა სამ ნეკნს ამოაჭრიან სუკებთან ერთად. ფელიკებს დასერავენ და წინასწარ გამზადებული ცხელი მარილით დაამარილებენ. ფელიკებს ერთმანეთზე დაადებენ და ჩააწყობენ ხის გობში, დაახურავენ თბილად. სამი-ოთხი დღის შემდეგ „გვერდს შეუბრუნებენ", გააჩერებენ კიდევ სამი-ოთხი დღე. შემდეგ ჩამოსაშრობად დაკიდებენ. ჩამოშრობილი ფელიკები გააქვთ ყინვაში და აჩერებენ რამდენიმე დღეს. ამის შემდეგ იწყება ფელიკების შებოლვა. უბოლებენ მაგარმერქნიანი ხეების შეშით.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამჟამად ლორს რაჭაში მარტო ოჯახისათვის როდი ამზადებენ; შეიქმნა ორგანიზაციები, რომელთაც ჩვენი დედაქალაქის მშრომელებს ათეულ ტონობით ლორი მიაწოდეს (შარშან მხოლოდ ონის რაიონიდან თბილისს გაეგზავნა ოცდაათი ტონა ლორი). ამით საფუძველი ჩაეყარა რაჭული ლორის სამრეწველო წარმოებას.

აღვნიშნავთ კიდევ ერთს, რაჭულ ქადას: ტაფაზე გაადნობენ ერბოს, როგორც კი წამოდუღდება შეურევენ პურის ფქვილს, მარილს და კოვზით ამოზელენ. შემდეგ ამ მასას ჩაურთავენ ცომში. გამომცხვარს თავზე მოუსვამენ ცხიმს. ძალზე გემრიელი საჭმელია!

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნუგბარი, რაჭული „კულინარული ბიბლიოთეკის" ერთადერთი დამცველნი ძველი თაობის რაჭველი ქალები არიან და რაჭის დიდი მოამაგის, ცნობილი ეთნოგრაფი ლევან ფრუიძის სიტყვით რომ ვთქვათ „დაყოვნება შეუძლებელია. სანამ კიდევ შეიძლება უნდა ვისწავლოთ მათგან".

სასიამოვნოა, რომ საშუალება მოგვეცა ჩვენი მკითხველებისათვის შეგვეთავაზებინა რაჭული ხალხური სამზარეულოს რამდენიმე რეცეპტი. იმედი გვაქვს არა ერთი და ორი ქართველი დიასახლისი მოიწონებს მათ და გაამდიდრებს თავისი ოჯახის მენიუს.

ელისაბედ ანაგვრიანი,
ჯულიეტა მჭედლიშვილი-ბაქრაძისა.

# შეიკერეთ თქვენ თვითონ



მხატვარი-მოდელიორი
ი. დენისოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რჩევები

ხშირად სინთეტიკური ქსოვილისაგან შეკერილი ტანსაცმელი იბუძგება, იხორკლება. ეს რომ არ მოხდეს, სველ ქსოვილს ჩამოუსვით უხეში ჯაგრისი.

* * *

თუ გინდათ, რომ სანთლები დიდხანს ენთოს, ხმარებამდე ჩადეთ მარილწყალში, შემდეგ კი გააშრეთ.

* * *

ბუზები ოთახში რომ ვერ შემოფრინდნენ, ფანჯრის ჩარჩოებზე ძმარი წაუსვით.

* * *

ტანსაცმლიდან კვერცხის ლაქა რომ იოლად ამოვიდეს, გაშრობა აცალეთ, შემდეგ კი რბილი ჯაგრისით ამოწმინდეთ. თუ ლაქა კარგად არ მოშორდება, დაასველეთ ნაჭერი სუფთა ბენზინში და იმითი ამოწმინდეთ.

* * *

ქსოვილიდან ყავის ძველი ლაქების ამოსაყვანად კარგია გლიცერინის, ნიშადურის, სპირტისა და წყლის (თანაბარი პროპორციის) ნაზავი. ამ ნაზავს ლაქაზე უსვამენ და ერთ დღეღამეს აჩერებენ, შემდეგ კი საპნიანი წყლით რეცხავენ.

* * *

შემწვარი კარტოფილი რომ ხრაშუნა გამოვიდეს, ვიდრე ცხელ ცხიმში ჩაუშვებდეთ, ნაჭრით შეამშრალეთ.

* * *

ჭკნობაშეპარული მწვანილი გაცოცხლდება, თუ კი ცივ წყალში ჩადებთ, რომელშიც ერთი სუფრის კოვზი ძმარია გახსნილი.

* * *

ოხრახუში, კამა, პიტნა თაკარა სიცხეშიც ცოცხლად დიდხანს შეინახება, თუ კი მას მჭიდროდ თავდახურულ მშრალ ჭურჭელში შეინახავთ; ოღონდ მწვანილიც მშრალი უნდა იყოს.

* * *

თუ გინდათ, რომ რძე არ მიგეწვათ, შიგ ერთი ნატეხი რაფინადი ან ერთი კოვზი შაქრის ფხვნილი ჩადეთ. შაქართან ერთად ადუღებული რძე უფრო დიდხანს ინახება.

* * *

რძე არ მიგეწვებათ, თუ ქვაბს წყალს გამოავლებთ და ძირზე ლამბაქს დაამხობთ.

* * *

თუ რძე მაინც მიგეწვათ, რძიანი ქვაბი ცივ წყალში ჩადგით და ცოტა მარილი დაუმატეთ.

* * *

თუ რძე გადმოგივიდათ, დასვრილი ქურის ზედაპირზე სველი გაზეთი დააფინეთ, ეს ხელს შეუშლის მთელ ბინაში ცუდი სუნის გავრცელებას.

* * *

რძე რომ გემრიელი იყოს, იმავე ქვაბში უნდა დარჩეს, რომელშიც აადუღეთ.

* * *

კარტოფილის პიურეს რძე მდუღარე უნდა დაემატოს. ცივი რძისაგან პიურე ნაცრისფერს იღებს.

* * *

ვიდრე ყველს მაცივარში შედებთ, იგი ცელოფანში, პოლიეთილენის ქაღალდში ან ალუმინის ფოლგაში გაახვიეთ. ჩვეულებრივ ქაღალდში გახვეული ყველი მალე ხმება.

* * *

მაცივარში ყველი საყინულე კამერისაგან მოშორებით უნდა დადოთ. თუ მაცივარი საერთოდ არა გაქვთ, მაშინ ყველი მარილში დასველებულ ტილოში, ან ბამბის ქსოვილში გაახვიეთ და გრილ, რომ ნიავდებოდეს ისეთ ადგილზე შეინახეთ.

* * *

გამხმარი ყველი გახელდება, თუ ცოტა ხანს რძეში გააჩერებთ.

* * *

ყველი რომ კარგად შეინახოთ, ჩადეთ თავდახურულ ჭურჭელში და ზედ 2-3 კოვზი შაქრის ფხვნილი მოაბნიეთ.

ჟურნალის პირველ გვერდზე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნანი ბრეგვაძე; მეოთხეზე — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მედეა გონგლიაშვილი.


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ჟ. ლომთათიძე, ნ. ქვანია, პ. ულენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, Ленина. 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 9.11.83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.12.83 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
ტირაჟი 130 000. შეკვ. 2551. უე 07319.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფორთოხლის ბარაქა / თ. ფურცხვანიძის ფოტო



ეროვნული
ბიბლიოთეკა